“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№10 (287)
სექტემბერი
2022 წელი
უფასო

გამოცემის ოცდამეოთხე წელი "LITERATURULI MESKHETI"

შოთობა - 2022

ძვირფასო მეგობრებო,
გილოცავთ „პოეზიის სახალხო დღესასწაულს – შოთობას!“

შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

(ნაწყვეტი)

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ჰე ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა, –
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მიშერისა.

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, –
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმან ნები.



„რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება. მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონება!“

არჩილ მეფე

დიდი ქართველები რუსთაველზე

***

„მე უსწავლელსა ვით მეძლოს,
ვისზედ ვსთქვი ანბანთ ქებანი.
ბრძენს უნდა ექო იმისი
ციმციმი ბრწყინვალებანი!
შენი ნათქვამი საღმრთოდ თუ
საეროდ მოიხმარების,
ვინც რომე ნათლობს ნიადაგ,
შუქი არ დაემალების“.

თეიმურაზ მეორე

***

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის
მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყველი
სპარსთა ენის“.

ანტონ პირველი

***

„დრომან შემუსვრის მან
მოყვარემან,
ვერა შემუსრა მის თხზულებანი;
ღამესა ბნელსა ვით მთოვარემან
ბრწყინვით განაღო საუკუნენი“.

გრიგოლ ორბელიანი



***

„მე რუსთველსა ლექსს არ უდრი,
ვით მარგალიტს ჩალის ძირსა,
მაგრამ მიმორთნიც კეკლუცნი
ტურფად მოიკაზმენ პირსა,
ოდეს მაშვრალს მოსწყურდების
მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,
დრო მოვა და გაწბილდების,
ხილად სჭამენ პანტის ჩირსა“.

დავით გურამიშვილი

***

„ქართველმა ერმა „ვეფხისტყაოსანს შიგ ჩაატანა თვისი ცრემლი და თვისი სიხარული, შიგ ჩაახვია თვისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“.

ილია

***

„სულმნათო, მადლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს მშობელს“.

აკაკი

***

„შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.

ვაჟა

***

„გრიგალია თუ სეტყვაა,
არ მეშინია მე სხვისა,
ქართველში გამოხედვაა
იმ ერთი ვინმე მესხისა“.

გალაკტიონი

***

„უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი ნაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!“

გოგლა

მეცნიერის არქივიდან

სიტყვის შთამაგონებელი და ქმედითი ძალა შოთა რუსთაველის განძვრეტით

ილია მაისურაძე

(ნაწყვეტი)

... მწერლის მიერ აღწერილი სურათი ლიტონ სიტყვათა უბრალო ხარჯვა როდია, იგი არის დიდი სცენა სიტყვიერი შეგონებისა, რომელიც ორთა მსჯელობასა და პაექრობას ეყრდნობა.

როგორც ცნობილია, სიტყვა-პასუხში იკვეთება და იხვეწება სიტყვის მნიშვნელობა, ილესება და მძაფრდება აზრი. აქ „ლოგოსი იქცევა დიალოგად, ლოგიკა დიალექტიკად“ (მ.გოგიბერიძე). ამ მწვავე ჭიდილში ავთანდილის სიტყვის კეთილი საწყისი იმარჯვებს, ის ერთ-ერთი ფსიქოთერაპიულ საშუალებად გვევლინება, რომელმაც სულიერად განკურნა ტარიელი, დაიმორჩილა, სასიცოცხლო სტიმულით აღანთო, ცხენზე შესვა და გამოქვაბულისკენ აქნევინა პირი.

შემდეგ რა ლოგიკურად და ბუნებრივად, ისმის რუსთაველის დასკვნითი აფორიზმი:

„გველს ხვრელიდან ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი.“

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ სათავგადასავლო ამბებში, პერსონაჟთა ქცევასა და მოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცოცხალ სიტყვას, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მოვლენას. პოემის მთელი პასაჟები ამაღელვებელ დიალოგებზეა აგებული, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი ენის არა მარტო კეთილის მოქმედი ძალა, არამედ მისი მძლავრი უარყოფითი ზემოქმედებაც.

სიტყვა ხან კეთილ შეგონების მეტყველია, თაფლივით ტკბილი და კეთილ საქმეთა დასაბამი (ხალხური ანდაზა ამბობს: ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო), ხან კი გულისწყრომის, რისხვის, სიბოროტის, სიავის, ან უმეცრების გადმომცემია. ასეთი სიტყვა გულს უგმირავს და ახელებს:

საუბარმან უმეცარმან შმაგი
უფრო გააშმაგოს.
ავი სიტყვის თქმა ავი კაცის ჩვეულებაა:
„ავსა კაცსა ავი სიტყვა
ურჩევნია სულსა გულსა.“
„კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოსდინდების.“

სიტყვამცდარობა და ენამეტობა უჭკუო და რეტი ადამიანის თვისებაა.

„ესეგვარი დია მიჰხვდეს სიტყვა
მცდართა ენა- მეტსა,
ხვაშიადის ვერ მმალავსა,
უჭკუოსა შმაგსა, რეტსა“.

ეუბნება ფატმანი ავთანდილს, ჰკიცხავს რა თავის თავს ჩაჩნაგირთან საიდუმლოს გამჟღავნების გამო.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პ. უმიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთი ხალხური ლექსი, სადაც ენის ეს ორლესური ბუნება ასეა გადმოცემული:

„ენა მწარე, ენა ტკბილი,
ენა მოკლე, ენა გრძელი,
ენა სევდის უკუმყრელი,
ენა ქვეყნის შეცამშვრელი,
ენა მკურნალ-სნეულთათვის,
ენა მრთელთა ლახვრის მკვრელი,
ენა სული სულმობრძავთა, –
ენა ზოგჯერ სისხლის მღვრელი.“

სურვილთა გამომთქმელი სიტყვის მიგნება, ანუ განცდისა და იდეის ენობრივ ყალიბში ჩამოსხმა-გამოკვეთა უდიდესი პრობლემა იყო კაცობრიობის ყველა დროის თვით უნიჭიერეს შემოქმედთათვისაც კი. იგი ახლაც რჩება მწელის ძიების და გაქანების საგნად.

გრძნობა ძნელად ემორჩილება გამოთქმას. იგი ებრძვის მას, – ამბობდა დენის დიდრო, – და მართლაც, ადამიანის გონებრივი შრომის სამყაროში თითქოს უხილავი ბრძოლაა გჩაღებული სათქმელსა და გამომთქმელ საშუალებებს შორის. ხშირად ენა უძლურია გადმოსცეს ფსიქოლოგიური ცხოვრების ხვეულები და სწორედ მაშინ იწყება ჩვეულებრივი ადამიანური ჩივილი ენის უსუსურობაზე არა მარტო სიტყვის ოსტატისა, არამედ რიგითი მოლაპარაკისაც – „სიტყვა არ მყოფნის“, „ვერ აგიწერ“, „ენით გამოუთქმელია“, „რა ენა უნდა იმის გადმოცემას“ – აი, ამ ჩივილის ზოგი ფორმულა.

შ. რუსთაველისთვისაც არ არის უცხო ენის უკმარობის ამგვარი განცდაა. მასაც კი – ქართული სიტყვის ამ ოქრომჭედელს, – ეცოტავება გამოთქმის საკუთარი საშუალებანი, თითქოს ვერ ეტევა შერჩეულ სიტყვათა კალაპოტში. რის გამო გულისტკივილივით აღნიშნავს: „რომე მწადდა, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნაათალნი,“ თინათინის სიმშვენიერის აღწერა მე როგორ შემიძლიაო:

„მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა,
ხამს, აქებდეს ენა ბევრი!
შენად შეყრამდის პატიჟთა
ჩემთა, ვერ იტყვის ენებიო...“
და სხვ.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი გამონათქვამები ენობრივი გადმოცემის ნაკლოვანების შესახებ დიდ პოეტს ახალი ძალით დაუტვირთავს და მხატვრული გამოსახვის ექსპრესიულ საშუალებად უქცევია. უთუოდ კონტრასტულ მხატვრულ ფერადად, ჰიპერბოლურად ჟღერს ქვემოთ მოყვანილი სტრიუქონები:

„ავთანდილის მაქებელად
ათასიმცა ენა უნდა...
ვერ მიგია ქება მათი,
ვერა ქება საქებარი...
ენა დაშვრების, გაცვთების გულსა
შეელმის ლმობილსა,
ენა დაშვრების, მოსმენით
არვისგან დაიჯერების...“

თუმცა შ.რუსთაველი არაერთხელ მიუთითებს სიტყვათშემოქმედების სიძნელეზეც, გვიმხელს იმ ბრძოლისა და ჭიდილის სიმძიმეს, რის გადატანაც მოთმინებით უხდება სიტყვის ხელოვანს, რათა საბოლოოდ სასურველ ენობრივ ფორმებს მიაგნოს და მარგალიტებად აასხას „სიტყვა ნატიფი მჭერვები“. ამას დიდი მგოსანი „ნაჭირვებსა“ და „საჭიროს“ ტერმინებით აღნიშნავს (მე-18 და მე-20 სტროფები). ხოლო სიტყვებში აზრის ჩამოსხმა-გამოკვეთის აღსანიშნავად კი ხალხურ გამოთქმას – „ენის გამოგებას“ ხმარობს. აი ამის მაგალითიც:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი
და ტომი გვართა ზენათა
ძნელად სათქმელი, საჭირო,
გამოსაგები ენათა...
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი“.

ენის შემოქმედებითად გამოყენების ამ რთული პროცესის ბუნება და მისი რუსთველური გაგება სხარტად დაახასიათა გიორგი ნადირაძემ თავის გამოკვლევაში „რუსთაველის ესთეტიკა“. იგი სხვათა შორის აღნიშნავს: „მხატვრული სიტყვა დაძაბული ძიებისა და ოქრომჭედლური გულმოდგინების ნაყოფია. მის დამორჩილებას, მისი „სიკერპის“ გატეხვას პოეტი ჩვეულებრივ მტკივნეულად განიცდის... რუსთაველისათვის კარგად ყოფილა ცნობილი პოეტური შემოქმედების ეს ფსიქოლოგიური მომენტიც“.

ეს ყველაფერი შინაგანი წვაა, ბრძოლაა ენის სტიქიასთან სიტყვის „გამოსაგებად“. მაგრამ როგორი უნდა იყოს შემდეგი ბრძოლის შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით, რანაირი უნდა იყოს უკვე „გამოგებული“, წარმოთქმული სიტყვა? ამ კითხვაზეც შ.რუსთაველის შეხედულება სავსებით გარკვეული და ცხადია: იგი უნდა იყოს ნათელი, გასაგები და მოკლე. ამგვარად, დიდი შემოქმედი ყურადღების საგნად აქცევს გამოთქმის ნაირობასაც (ენის სტილისტიკურ მხარეს) და სავსებით სწორ, დამაჯერებულ აზრებს აყალიბებს.

დასაგმობია ისეთი მოლექსე, რომელსაც „არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“, რომლის შემოქმედებაში საგრძნობია „სიტყვამცირობა“, ლექსთა ძვირობა („დაუწყოს ლექსმან ძვირობა“) ან პირუკუ: ზედმეტსიტყვაობა, რადგანაც გრძელი სიტყვა „საწყინოა“, მისი მოსმენით „მესმენელისა ყურნიცა დავალდებიან“, ხოლო დიდი სიკეთეა აზრს მიყოლებული სწორი გამოთქმა, უაღრესად სასიამოვნო და გულისდამატკბობელია პოეტის ნათელი მეტყველება:

„ჩვენ მათიცა გვეამების,
რაცა ოდენ თქვან ნათელად“.

სინათლე და სიცხადე ფრაზისა კი მოკლედ თქმას გულისხმობს:

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის,
შაირია ამად კარგი“.

შ. რუსთაველი, პირველყოვლისა, თვითონ არის სიტყვათშემოქმედების დარგში მისმიერვე გამოთქმული ამ ბრძნული მოთხოვნების უბადლო შემსრულებელი. მის ნატიფ სიტყვას „სილბო ნაქსოვისა აქვს და სიმტკიცე ნაჭედისა“. გარემოების მიხედვით იგი ხან მახვილივით ბასრი და გამგმირავია, ხან კი ნაზი და გულამაჩუყებელი, ხან მოკლე აზრთა დამტევ სტრიქონებშია ჩაჭედილი, ხან ლაღადმავალი, როგორც ვრცელი ამბების მთხრობელი;. მაშინ იგი გრძლად და დიდხანს ჟღერს ისე საამოდ, რომ მსმენელს მისი შეწყვეტის სურვილი არ ებადება.

პოეტისთვის ენა ზეგარდმოცხებული ძვირფასი ნიჭია, მისი სულისდგმა და გაქანებაა, მისი ჭირი და ლხინი, სიტკბო და სიამე – მთელი სიცოცხლე.

სწორედ ამ გარემოებას აუღო კარგად ალღო რუსთაველის კვალზე დიდი გზნებით მავალმა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ, როდესაც იერუსალიმში ხელშესახებად იგრძნო ჩვენი დიდი შემოქმედისა და მოაზროვნის უკანასკნელ დღეთა სუნთქვა და კატამონის დახავსებულ კედლებს თითქოს საუკუნეების მიღმა შეწოვილი, დედა ენის ქებად აღძრული შოთასეული სიტყვების მწუხარე ხმა ყრუ გუგუნით გამოაღებინა:

„ ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა დიდო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან!“

ავთანდილ ციბაძე

შოთას მინას გაუმარჯოს

ხელგაშლილი, გულგაშლილი,
წინ შემოგვხვდა მასპინძელი,
პირზე ღიმილდაფენილი
ტკბილ-ქართული ასპინძელი:

„მოდით, ძმებო, დამილოცეთ
სახლის ფუძე, საძირკველი!
დამილოცეთ ცოლ-შვილი და
კარის ყველა მეზობელი,
ჩვენი მიწა, მესხთა მინა,
ეგზომ ტკბილი, ეგზომ ძველი.

ვარძიის კლდე დამილოცეთ,
თმოგვის ციხის ქონგურები,
მოიგონეთ მის კედლებთან
დაცემული ლომგულები!
დამილოცეთ ჩვენი შოთა,
მისი ლანდი შორეული!“

– გეხვეწება მასპინძელი
თვალზე ცრემლებმორეული.
აგრე იყოს, ოქრო-კაცო,
მომაწოდე ეგ სასმისი:
შოთას მინას გაუმარჯოს,
დღეგრძელობა იყოს მისი!

ნიკოლოზ ალელიშვილი

მესხის ხელით გამოთლილმა

ოთის ტყეში გამოჭრილმა,
მესხის ხელით გამოთლილმა,
ათას ჭირში გამოვლილმა,
მზე-აკვანმა გამოზარდა...
აქ, ამ ვიწრო კაპანებში
ფიქრთან შებმა ესახელა...
სიდიადის შესაქმნელად
ჰპოვა სიბრძნის საფანელი.
მიწას მაღალმთებიანებს,
მინდვრებს ლალის ხედებიანს,
ფიასა და ბერთა ყანას,
ეამბორა, ეთაყვანა.
ბარბითის ნაზ მელოდიას
აქ ემონა, ეზიარა.
ამ გვირაბებს კლდე-ლოდიანს
მისი მოსვლა ემზიანათ...
ამ შამბიან ნაბორცვალზე
დაუკოდა მერანს თავი,
ხალხის მცირე ნაბოძვარზე
გასცა განძი უთვალავი.
შავშეთის მთებს კრძალვით, რიდით
მან მოსტაცა სამკაული,
ამოქარგა ტილო დიდი
უჭკნობ სიბრძნის, სასწაულის...
ტკბილღუღუნა ქართულ ენით
სიტყვის ბაღი გააშენა,
სიკეთის და მართლის მთქმელი
განადიდა, დაამშვენა...
გაუტოლა მზეს და მთვარეს
სიყვარული სვე-ნათელი...
ფარეს, ფარეს, ვერ დაფარეს
მტრებმა მისი შენაქები!..

კობა მოდებაძე

მესხეთს

თუ მესხეთის გზად არ გაგივლია,
არ გსმენია ხმა ზარზმის ზარების,
ვერ იგრძნობ ,რარიგ ტკბილად მღერიან
მზისფერ ფანდურზე მესხი ქალები.
თუ საფარისთვის თვალი მოგიკრავს
და გინატრია ოშკში გალობა,
და გიდარდია, მიწას მადლიანს
გზა რომ ჩაშლია კლარჯეთ-ტაოდან.
მესხურ მიწაზე ვერ დაგითვლია
ციხე-კოშკი და საყდარ-დარანი,
შოთას შაირის სიბრძნით ხსნილია
ქართველთა აწმყო და მომავალი.
ნეტავ კუმურდოს ვინ გადახადა?
რამ გადახადა ოქროს გუმბათი?
ქვა ქვას ნადებო მამა-პაპათგან
მესხურ მიწაზე გამიუკვდავდი.
თუ მესხს მესხური ქუდი არ გხურავს,
შენი ვარძიით ვით ხარ ამაყი?!
რაც სიდიადედ შემონახულა,
დე, უსასრულოდ დარჩეს მარადის!

სამცხეს

თუ შეგიღია სამცხის კარები,
თუ შეგიგვრძვნია ციხე მოქცევის,
თვით მეციხოვნეს დაემგვანები,
გადიადდები და გაოცდები.

ისევ დარეკენ აწყურს ზარები,
სამ ციხის ამგებს ეთაყვანები,
აღფრთოვანებით და დანანებით,
ამ მიწას ეგმირთშთამომავლები.

თამარი

არ ეყოფოდა წირვას ტაძარი,
ერს, რომ შენს გამო არ დაეკვნესა,
რომ გაგემხილა წმინდა საფლავი
მომავლისათვის, თამარ მეფესა.

იქნებ საფლავში ჩაგყვა ის თვალი,
ის ნატვრისთვალი ქართლის ბედისა,
ალბათ, ეს არის ამის მიზეზი
ერთ მუშტად შეკვრა რომ არ გვეღირსა!

მუსხი

შეხედეთ, ფუღა და ახდილაო,
რამხელა მუსხად გაზრდილაო.

ოდესღაც ძველა მუსხს – დამალულას,
ნაღდ მესხნი მტერთაგან დამალულან.

რამდენი ვარამი უნახიათ,
რამდენი სამოსი უთალხიათ.

სამას წელს ოსმალო ბატონობდა,
მუსხელი მაინც ქართველობდა.

შეხედეთ, როგორი მზე ჰფენია,
ნაღდი მესხური სოფელია.

შეხედეთ, ფუღა და ახდილაო,
რამხელა მუსხად გაზრდილაო.

გიორგი ალადაშვილი

ვარძია

კლდეში გამოგკვეთა ზენამ შენ უმაღლეს ხელოვნებად.
ბრძოლის ჟინმა და ბუნებამ შენ გაქცია ეროვნებად.
და მდინარე მომცინარე, კლდეებს ნაპრალ ღეროვნებად.
როცა გშობეს უცოდველი, უპირველეს უფლის ნებად!

შენს მიწაზე ფეხშიშველმა თამარ მეფემ დააბიჯა!
შენს მახლობლად ჩვენმა მკლავმა მტერს პერანგი დააგლიჯა.

როს იწვოდი, ვით სანთელი, ტაძრის გულში ამავალი,
შენი მძლავრი ხელოვნების ახლა დარჩა დიდი კვალი.
ვინც იცხოვრა შენს მიწაზე, აღასრულა ღირსად ვალი!
შენ იყავი! წამსვე გიცან, როცა გკარი შორით თვალი.

შენს მიწაზე ფეხშიშველმა თამარ მეფემ დააბიჯა!
შენს მახლობლად ჩვენმა მკლავმა მტერს პერანგი დააგლიჯა.

შენს ხეობას მტკვარი მთიდან ისე დაღმა მოუყვება,
ყოველ მნახველს, გამვლელს ირგვლივ,
სევდის ნაღველს მოუყვება.
და ეს ცრემლი დაღუპულთა გარდიქცევა, როგორც შვება...
დაფიქრდება მუდამ მტკვარი, გულზე ისევ მოეშვება.

მეომრების გზაზე ვდგავართ და თავად ვართ მეომრები,
განზე გაგვაქვს ღირსეული წინაპრების ფართო მხრები.

ღმერთის სიტყვა ამ კლდე-ქალაქს მისცა სული და ნათელი,
ბევრს ეწადა შენი ძლევა, ვხედავ კვლავაც შენ ხარ მთელი.
და მომავალ საუკუნეს, მოუთმენლად, გატყობთ, ელი,
მიტომ იწვის, დნება მშვიდად, ღრმა და წმინდა ეგ სანთელი.

აქ დახოცეს, მტკვარმა შთანთქა თავდადებული ბერები,
მაგრამ მაინც შენ, სიკვდილო, გულიანად მემღერები!

შენს ეპოქას ნათლად ვუცქერ, მხოლოდ გულში სიდიადე!
მხოლოდ გულში სიყვარული და შენს მოძმეს გვერდით ჰყავდე!
როცა ფიქრი გულთან მოვა, ღირსეული გრძნობით დახვდე.
იმ მოკლულ კაცს, სული ჰქონდა და სულითვე მასა ჰგავდე.

სად ვიმღერო, რომელმა კლდემ მომცეს ნიშნად ძლიერ ბანი!
თავად ნება გარეშემო არის უფლის გალავანი!

აქ იპოვეს ოქროს ხანა, ჩვენი სულიც აქ გამაგრდა.
ხშირად ჭირდა სევდით სავსე, დამარცხებას რაღაც აკლდა.
მაგრამ რაღაც სასწაული მტერთ ჯინაზე მაინც ახდა.
მაშინ ბრძოლის ველზე თავად წმინდა სული ჩუმად ახლდა.

თავად მოწმე იყო მტკვარი, ჩვენ ბუნებას ვმსახურობდით,
მრავალ ვაჟკაცს თავი მოსჭრეს, მაგრამ მათ გულს ნახულობდი!

მაინც, მაინც, რამ გაქცია შენ საწყისად ხელოვნების!
აი, ჩვენი დამტკიცება ჩვენი დიდი ეროვნების!
კაცთა დიდი მეოხება მტერთან ბრძოლის და ცდუნების!
შენ იყავი უპირველეს, ძალა გქონდა უფლის ნების!..

ირაკლი ვაშაყმაძე

კუმურდო

უგუმბათო და ტანდაკაწრული
იდგა შამბნარში,
ტკივილს მალავდა...
ბოლმისგან ისეც პატარა გული,
უფრო და უფრო დაპატარავდა.
ტკიოდა ზეცას უგუმბათობა,
ნათელი ცაში გუმბათს ხატავდა...

ჯ.კაკოჩაშვილი

იქნებ აქაც გაუვლია

კლდეთა შორის მოსჩქეფს წყალი,
ეხეთქება ლოდს და ნაპრალს,
შფოთით, გრგვინვით ჩამოირბენს,
გულზე რაღაც დარდი აკრავს.
იქნებ ამ გზას, ამ ბილიკებს,
ძველ ციხისკენ რომ მიგვიძღვის,
ის დარდი აქვს, რაც რომ ამ წყალს,
რაც ამ ლოდს და ამ ციხისძირს.
იქნებ აქაც გაუვლია...
ვისიც ქვეყნად დარჩა კვალი,
ვინც ხალხს სიბრძნე დაუტოვა,
ვინც აგვინთო ძმობის ალი.
მისი ცრემლი და გოდება
ამ მდინარს დარჩა კვალად,
ხალხისათვის სამსახური
დაეწესა მასაც ვალად.

აკაკი მაჭარაშვილი

ვარძია

შენი ჭირიმე ვარძიავ
ამაღლებულო კლდოვანო,
კლდეში ნაკვეთო საფრებო,
ლამაზო, ზურმუხტოვანო.
დიდი თამარის მძლე ხელით,
გამოძერწილო ტაძარო,
შენი წარსული დიდებით
ქართველნი დღესაც ვამაყობთ.
მომსწრე ხარ ბევრი ბრძოლების,
ქართველ მხედართა გმირობის,
ჩვენი მამულის დაცემის,
კვლავ აღდგენის და დიდების.
დღესაც გიცქერით გოლიათს
შოთას, თამარის მთა-ბარო,
ლომგულების და ვაჟკაცთა
სისხლით მორწყულო აკვანო.

ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა პოეზია

დავით შემოქმედელი

დაბადების დღე

ეს დღეც დასრულდა,
ჩამოთოვა. „ბრავო„ და ტაში,
ვისაც ვუყვადი, სიყვარულის
შემოწნეს ძნები,
მე კი აწმყოსთან გამოცდაზე
ჩაჭრილ ბავშვივით
ვდღაბნი ცრუ კადრებს და
წარსულთან დარცხვენით
ვდგები...
სად ვიცოდვილე,
სად ავმაღლდი
და სად დავეცი,
როგორ მიყვარდა,
როგორ მძულდა,
როგორ ვომობდი...
ხან ჩემი სოფლის მეთბებოდა
მზე, ყორე, მიწა,
ხან გულგრილობის
შხამს მაღვრიდა
„ელიტბომონდი„.
საყელოსავით ფინიშისკენ
გზა ვიწროვდება,
ქარონი გაღმა,
დრომ ამინთო
უკვე წითელი,
ვერ მოვესწარი
სამშობლოში სამშობლოთ
ტკბობას,
ტყვიის ისრებით მომდგომია
კარზე სკვითელი.
ამოდის მზე და
ჩადის მზე და
ასე სრულდება
ჩვენი ფუთფუთი
წუთისოფლის მღვრიე დრამაში.
ყოფის ქაოსში
რა ცოტაა გულით ცხოვრება,
და რა მეტია ნაღბებით და
გრიმით თამაში.
საწერ მაგიდას
სულთმობრძავი
ეცემა სხივი,
შიში... კითხვები –
მომავალმა ასე ინება,
ამ ჩემს გულბწკარებს
დრო შემოდებს მტვრიან თაროზე,
თუ სულს მკითხველის
თბილ მალამოდ
ჩაეფინება.
დროის სცენაზე
ჩვენ ჩვენს როლებს
ზუსტად ვიფერებთ,
ცრუ ქაოსებმა გამომიხრეს
ეს სუსტი მალა,
მე რომ ვიცინი,
მეგობარო,
არ შეგაცდინოს,
ღიმს თქვენ გიტოვებთ,
აცრემლებულ სულს
მუჭში ვმალავ.
აწ რა ვიყავით,
ან რა ვართ და
ან რა ვიქნებით,
დიდი წარსული
ნუ მექცევა ქვებად, ნაცრებად,
– ტაო! .. ვყვირი და
მოსაშველად მტირალ სიზმარში
ქრისტეს მხედრობა,
დავითის სპა
მომელანდება.
სენტიმენტები არად უღირს
პარტერს და კულისს,
არც ირონიით სახემცინარ
ჩემს ზემოთ მავანს,
მე საქართველოს რუკასავით
დაჩეხილ გულით
ჩემი სამშობლო –
უფლის კვართი,
სხეულით დამაქვს...

ჭერეთი

დავდივარ რიდით, მზერას ვავლებ
კახსა და ქურმუხს,
სისხლია ჩემი, გულში დაჭრილ
ხარივით ვყვირი,
გავხედავ ზეცას ცრემლიანი
ბერივით რომ წუხს,
სული დამზრალი, დასეტყვილი
და განაწირი.
... თამარის ხიდზე მხვდება გოგო,
– სალამ ალეიქუმ, – მეტყვის,
და ქართულ ცას ვიწრო მთვარე
იატაგანივით ერტყმის.
დამშრალა თუ კვლავაც იდენს,
კლდიდან რომ შხიოდა წყარო,
საყდარ-ბაბო სანთელს მინთებს,
მეც ამ საყდრის ფრესკა ვარო.
ვინ ვიყავ და ვინ ვარ ახლა,
ქრისტეს ჯვრიდან მამონამდე,
ნუ მომასწრებ კერის კვამლო,
ამ ბუხრებში არ ბოლავდე.
...დავღვარე ცრემლი რაც მქონდა,
შენს სისხლით ნადენ მდელომდე,
გულდაჭრილ საქართველოდან,
ფესვმოჭრილ საქართველომდე...

წერილი ნიკა წულუკიძეს

(ორი წლის კიტას ხსოვნას)

რა გითხრა, ნიკა, სისხლი გულში წვიმს,
მზე ჩამოთალხეს მღვრიე ქარებმა.
გჭირისუფლობ და ელდით დამწვარ სულს
ამ ლექსს დავუფენ დასაამებლად.
ის არ წასულა, შენშია, შენთან,
სისხლში გადახსნილ კაპილარებში,
გადაღრნილ მაჯებს უნდათ შველება,
მთვარის სუსტ სხივებს ზამთრის ღამეში.
თუმც ბოლოს ერთად მოისრებიან,
შხამ-ეკალი და ნორჩი ყვავილი.
სიცოცხლე უფლის დიდი ჯილდოა,
ციდან მინაზე ჩამოტანილი.
ნახე, რა რძისფრად ამოდის დილა,
სამოთხისფერი ცაა აქ უფრო,
თოთო სულები ცაში უფალთან
ანგელოსების ხმებით საუბრობს.
და დგას საწუთროს ბეწვისფერ ხიდზე,
შვილი და მამა... მამა და შვილი...
მინაზე სხივით დაწერილები,
ზეცაზე სულით გადაჭდობილი.
სიცოცხლეს შეხვდი, როგორც ხარებას,
მდუღარ ცრემლივით ხან რომ ტარიგობს,
ერთი სიკვდილით მეტი ხარ ჩემზე,
ამ თავურგებმა რა დაგარიგო.
ზოგჯერ ტკივილი სხეულს ჩაბზარავს,
სიკვდილებით მკერდს დანაჭდევები,
ასე ჯიხვები კლდეს ეხლებიან,
ასე სტოვებენ ბუდეს მერცხლები.
ასეა, შვილო, წუთისოფელი,
მეომრის დარად უნდა ომობდე,
არავის სტოვებ უშხამუისროდ,
მეც ჩემს ბებერ ძვლებს ვათრევ ბოლომდე.
ის ახლა ხარობს, ქეუბინების
ზეციურ დასის ლამაზი წვეთი,
თქვენ სულ ერთად ხართ, ის ცის,
– შენ მიწის,
ორსხეულ, ერთ სულ ფიქრშენაერთი.

დავით ახლოური

* * *

დილით მეგობარი შემეხმიანა - სოფელში ხომ არ წამოხვიდოდიო...
(ლექსს ვუძღვნი ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსახლეობას და ამასთან ერთად, სრულიად საქართველოს)

.....

ნეტა ვიყო შენსავით წასასვლელი სოფელში,
ვალაგებდე ჩანთას და მეზედმეტოს „ბოტასი"...
კელაპტრები მიმქონდეს დასანთებად
ქოხებში
და სიყვარულს ვუხსნიდე გოგოს ჯინსებ
მოტმასნილს...

ცოტა მენანებოდეს ქალაქური იერი -
მთის ვნებიან მზეებთან ნებით შესაფიცხები,
იქ, ღრუბლების ჩეროში, რომ არ
დავრჩე მშიერი,
რომ არ გამიჯეჯილდნენ ძველ ამბარში
ვირთხები,

მქონდეს უკვე ნაყიდი წამალი და ტყვიები,
ოღონდ გადანახული და სადღაცას საძებნი...
ავიდოდი თუ არა, სანთლებს მოვიძიებდი,
გავკაფავდი ხატის გზას, ნაცნობს შავი
ძაძებით.

უფალს შევავედრებდი ჩემს საფიცარ
ქვეყანას,
დედაჩემის სულსა და მზეგარდასულ
ბავშვობას,
ამ გულსა და სიყვარულს მივართმევდი ბეგარად
წარსულს, იქ რომ დავტოვე, დღეებს,
აქ რომ დამშორდა.
მტარვალსა და მამაძაღლს ავიკლებდი გინებით
ისე, მორცხვი იები გასაქცევად ინევდნენ...
სოფლის თავში ტყემლების ტყეში დავიძინებდი,
ვიდრე დილით ირმები რქენით გამაღვიძებდნენ.

ნეტა ვიყო შენსავით სოფელში წასასვლელი
და ვფიქრობდე სახლის წინ გადასაფენ
ჭილობზე,
სულ არ მენაღვლებოდა ალბათ
საჭმელ-სასმელი,
თუკი წამიკითხავდი ანასა და ჭილაძეს...

მერე ლექსსაც დავწერდი ჩემეულს
და უხიაგს,
მზეზე გამოვაშრობდი გადათხაპნილს
მიტარბით...
ხშირად ვინახულებდი საწილოს და
მუხიანს,
სოფლის სასაფლაოზე ღვინოს
გადავიტანდი...

.....

დღეა რაღაც უჟამო, მგონი უფრო
შავ-თეთრი,
ვინ დამინთებს კელაპტრებს მიტოვებულ
ქოხებში?!
სულ ამ მონატრებით და მოლოდინით
გავთეთრდი...
ნეტავ ვიყო შენსავით წასასვლელი სოფელში...

ვუძღვნი ბებიის ხსოვნას

ჩემს ბებოს ოთახში ეკიდა სურათი
ბრძოლებში დაღლილი, ნაჯაფი პაპისა,
არაყს შემოდგამდა ტაბლაზე სურით და,
ჭანჭურის შარბათი მოჰგავდა თაფლისას.

ერბოკვერცხს შეწვავდა პატარა ტაფაზე,
ვიტყოდით ღვთისას და მშვიდობას ყოველთა,
ცრემლივით შემორჩა წარსულის დაფაზე
ტკივილი, რომელიც თან გაჰყვა
„პოვლეთ ქალს"...

მე დღესაც მგონია ღმერთივით უნაკლო
ბებია, ჩუმად რომ თვალებს იოსებდა,
სიკვდილმა წაართვა შვილები უმანკო,
მათ თავს აბარებდა პაპა იოსებას...

ძალიან მიყვარდა ჩემი ქეთო ბაბო,
სურდა შევხვედროდი ღვთისდარ
მზექალასა,
თითქოს ახლაც ჩემს წინ დგას და
მშვიდად ამბობს:
„სულსაც მირჩევნიხარ და მთელ
ქვეყანასაც"...

ალბათ იქაც ჯავრობს, მზეს რომ მეცილება
ის, ვინც ქარჩოხიდან სადღაც გამაძევა,
ჩემი თბილი ბებო... როგორ ეციება,
ისეც ცივი იყო მისი ტაბარძენა.

მაინც მანუგეშებს: „ჩემი არე-მარე,
სხვას ვერ დარჩებაო, გეწამლოს ბებია"...
ღმერთო მაპატიე, რომ ვერ მოვუარე
მინას, რომელშიაც წინაპრის ძვლებია!

* * *

ვინ იცის, უკვე რამდენჯერ ვცოდე,
რამდენჯერ მწარედ ვინანე მერე,
„მომიხსენიე, უფალო ოდეს" ...
- ველარც კი ვამბობ
და ვმალავ ცრემლებს.

ნუ განმიკითხავთ,
თვით განმსჯის ღმერთი,
მძიმე იქნება საფლავის ლოდი...
ათი მცნებიდან რომელი ერთი
გამხსენებია ხორცში მყოფ ცოდვილს.

ათი მცნებიდან რომელი, როდის
იქცევა მერე გზებზე ეკლებად...
ასე ყოფილა კაცთათვის ოდით,
ლიბრი ამ ცასაც გადაეკვრება

და მზე - სამყაროს მხურვალი ცოლი
გაცემის ღამეს მთებთან იწვება...
რაც უნდა თეთრი მოვიდეს თოვლი,
მიწის ალერსით შეიბილწება.

* * *

მოწყენილია უშენობით ჩემი ოთახი
და ყოველღამე ეშინია სიზმარს თენების,
შემოირბინე სიყვარულო,
თუნდაც ცოტა ხნით,
თორემ ხელებში მიკვდებიან
ქრიზანთემები...

გახსოვს? -
სარკმელთან ატუზული
მთვარის პროფილი,
დილით, რომ სადღაც დაემალა
ღამის ნათებას,
სიყვარული კი, უფალივით უარყოფილი,
ლექსებს შემორჩა ვით ამაო
თავის მართლება.

ქარიც ხომ გახსოვს,
აშარი და სასომხდილი
(შენს მოსახიბლად რა არ სცადა,
რა არ იღონა)...
ახლა ისე ვარ, ვით ედემში
სიკვდილმისჯილი,
რომელმაც ევას სიყვარული გამოიგონა...

.....

მოწყენილია სიმარტოვით ჩემი ოთახი,
მაგრამ არ მინდა, უშენობამ გამატიალოს...
შემოირბინე სიყვარულო, თუნდაც
ცოტა ხნით
და დედამიწა ჩვენს გარშემო
დავატრიალოთ...

ვნების კვირა

ვნების კვირაა...
დარდით მოცული
რაღაც მისტიურ სიზმრებს ვნახულობ...
ახლა ჩემს ირგვლივ ყველა ლოცულობს,
ყველა რაღაცას სწუხს და მარხულობს.

ვნების კვირაა
და უჩვეულოდ
უფრო მწუხარე ხდება თაბორი...
(როგორ გაბედე ნეტავ, წყეულო,
ოცდაათ ვერცხლად ქრისტეს ამბორი)...

ვნების კვირაა...
როგორც არაკში -
სული თითქოსდა ძაფით განასკვეს...
მოჰყავთ იესო,
ღმერთის ზვარაკი
და გვიმზადებენ წითელ პარასკევს...

ქრისტეს სისხლია ახლა შარბათი...
გაუძნელდება
მთვარეს ამოსვლა...
მაგრამ იმედად გვრჩება შაბათი,
მრევლის რწმენა და
ცეცხლის გარდმოსვლა...

ღმერთო გვიშველე,
შენი სახლია
დედამიწა და მიყვარს აქ დგომა...
ჯერ დაცემაა,
ჯერ ღალატია...
მერე ჯვარცმა და
ისევ აღდგომა...

ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა პოეზია

ნინო ჭიქაშუა

ამინდი

„კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჰგონია„

ხალხური

ნისლის ქულაჯებს - დაბნეულ ბატკნებს
ცისკენ გარეკავს მთვარე - მეცხვარე,
მთები - ბალღები დგანან და ნატკენ
მუხლისთავს მლაშე ცრემლით რეცხავენ...
მზე, ალბათ, დაისს ანდობს საწუხარს:
„ცხოვრება მხოლოდ კიბე როდია...
ათას კაცში რომ მაინც მარტო ხარ,
ესაა დრამაც და პაროდიაც“...
ამ მთებს, ამ ქედებს შეათრობს ბინდი -
გარდაუვალი, როგორც ფინალი,
ურემი მაინც მიდის და მიდის
და განმკითხველი არავინ არი,
რომ გზა დაკარგა და ბნელ ღამეში
ჭაობს და ჭანჭრობს ვერ გასცდა ღალღა...
რომ დედამიწა - ზანტი კამეჩი
წევს და იცოხნის სანუთროს ბალღამს.

ქალის პასტორალი

მივერეკები ობოლ ხარებს ტრიალ მინდორზე,
მინის ბელტები ფთილა-ფთილა ღრუბლებს
ითვლიან...
სადა ხარ... ნეტავ, ისევ ისე ძლიერ მინდოდე..
გიპოვო... გყავდე - ვიდრე ყოფნა კვლავ
შემიძლია...
გამოვცდი ყველა გალავანს და
ყოველ კარიბჭეს
ჭდედ დავაჩნიე სული ჩემი - უცხო ყვავილი...
მო... ხომ ისევე ისეთი ხარ...
შემოაბიჯე,
სევდა მიმღერე - ზეცას კვირტად გამოტანილი...
ხარ თუ აღარა... მიპასუხე, რომ ისევ სუფევ,
რომ ნება შენი, ო, ვერასდორს დაემთხვა ჩემსას,
რომ ჯერ ადრეა... ან, იმდენად გვიანი უკვე,
რომ ვეღარც შევძლებ, სიყვარულის
შარბათი შევსვა...
და ეს ხარებიც, მწყემსო ჩემო, ასე მორჩილად
რად მიჰყვებიან უცხო შარას... მიამბო ეგებ,
იქნებ, დავბერდი... ან მე, ბრიყვი,
ისე ნორჩი ვარ,
რომ დავიწყებულ სიმძიმილებს
კარდაკარ ვეძებ...

სიმღერა

ჩემი შინდისფერი გზები,
მშვილდი ჩემი - მოზიდული,
სულის უტყვი ზიგზაგები,
ფიქრი ჩემი - დანისლული
მოგაბარე... მწყემსო ჩემო,
მო, გიამბო ჩუმი სევდა,
ვინძლო, აღარ შემაჩერო,
ცრემლის ზღაპარს შემოგბედავ...
რა არ ვკემსე, რა არ ვლამბე,
გული ვეღარ გავიმთელე,
გზებზე ადევნებულ ლანდებს
პეშვი სიტყვა შევაშველე,
თუმც საავდრო მრუმე ღრუბელს
ვენახი ვერ ავარიდე...
და ჩემს თავთან მოსაუბრე
ვცხოვრობ, ცოცხალი ვარ ვიდრე.

დრო

ტყვიისფერ ცაზე წერენ განაჩენს,
დრო მიდის... დრო დგას... ჩერდება... მოდის...
და სევდიანობს მზის მოდარაჯე
იასამნების დახრილი ტოტი...
განეძარცვება ხალისი ნადიმს
და მოლოდინი იქცევა გლოვად
დროის, რომელიც, ვაი, რომ გადის...
დროის, რომელიც არასდროს მოვა...
სამაგიეროდ, იქნება სხვა რამ,
სულ სხვა, სხვაგვარი, უცხო და სხვისი,
და, დროის ნაცვლად, ჩვენ შორის მარად
იდგება სულაც უდროო ნისლი.

აღსარება

წამი არ არის, რომ არ მწამდე, რომ არ გელოდე..
ჟამითი ჟამად უსასოო თუკი მიხილე,
გეტყვი, რომ გნერდი და ვატანდი
ლურჯ ანგელოსებს
ნოტიო კედლებს დადენილი ცრემლის
სიგრილეს...
გეტყვი, რომ ვხედნე ულაყები ვნებააშლილი,
მოუხელთებელ ზმანებათა ვსდიე ქარაფებს
და ქანცგაწყვეტილს, ჩაძინებულს
დაღლილ ბავშვივით,
სული შემომრჩა - ფრინველებთან მოლაპარაკე..

ნინო მოღრეკილაძე

დაბრუნება

ციხე - ციხე, ქვა - ლოდებში
სევდად შეხიზნულო ჩემო
მესხეთის ცავ,
ჩუმ ლოცვებში
ჩამოგქარგავ, გგულობ, გჩემობ.
სულო, სუნთქვავ, ამომსკდარო
მინის ბებერ ძარღვებიდან
გრიგალების
თანამგზავრო
შენი მტვერი ვიყო მინდა.
მობრიალე მზედ დაგიცხო
ყანა - მინდვრის თავთუხები,
ჩემო დედავ,
მახსოვს, ის, რომ
გამომზარდე ჩახუტებით.
მე განი - განდავეძებდი
თვალის სასეირო ალაგს,
შენ კი ჩემს ფიქრს
მოავადეს
გულს სჩუქნიდი, როგორც წამალს.
გვიან მივხვდი, რაც ყოფილა
ფუძის ანგელოზის ლხენა,
გთხოვ, მიმიღე
არყოფნიდან,
მომეც გზა და აღმაფრენა.
ციხე - ციხე, ქვა - ლოდებში
სევდად შეხიზნულო ჩემო
მესხეთის ცავ,
დაგიბრუნდი,
მომეც ხვატში ჩრდლთა ჩერო...
პაპის სახლი - დამეწყრილი
დროთა ავთა დარებისგან,
ალიზ - ალიზ
ჩამოვკოცნო,
ვიდრე გონი დამებინდა.
ვიდრე მახსოვს უფლისჩიტა
დედაჩემის სუნთქვის სიო,
ვიდრე მამის
მუხა - ჩინარს
ჭილ - ყორანი შეესიოს...
ვიდრე გულში სიყვარული
დუღს ბადაგად, ოქრო - რთველად,
გითხრა,
აქამომდეც უნდა
მეშვილა და მექართველა...

ბრონეულები

ხრიოკ გზისპირებს აედევნენ ბრონეულები
ფერთა სიწითლით მოლისფერზე
წვანან ზმანებად,
მოვითმენ ამ გზას, გზის ბოლოს ხომ
შენ მეგულები,
ბუნების - სულის მზედ -
ფერწერა ამემგზავრება.
ეს სიმარტოვე შევიჩვიე, აღარც კი მიკვირს
რატომ დავკარგე გადამფრენი
ჩიტების დარად
ვინც არ აღმოჩნდა თვით უფალი თავის
და სიტყვის,
ვინც ბოლოს აღარ დაეღირა არც
გროშის ფასად.
ვინც სიყვარული აირეკლა და გახდა ბაცი,
მე კი ლანდებთან მორიალე
ვერასდროს ვიყავ,
სული ბროლიდან ჩამომდნარი და დანაქანცი
ცრემლივით ღაწვზე დამიგორდა,
დედამიწისფრად.
გზის ბოლოს ისევ შევხვდებით
და ვიქნებით ცოტა,
ვიქნებით ბევრი, პატარები, ანდა დიდები,
მოგეახლები, ვით იესოს იერიქონთან
ბრმა მიეახლა სულის ჭვრეტით და დაუნებით...

* * *

ისევ ჩავიცვი შემოდგომის
ფერთა ხავერდი,
თვალს დავხუჭავ და ვხედავ როგორ
მოდიხარ ჩემკენ,
ოცნების ქოხში ვიცხოვრე და
ისე დავბერდი,
შენს ჭრელ პერანგზე ერთი ღილიც
ვერ დავაკერე.
ქარს მიჰყვებიან დაუმჭკნარი ყაყაჩოები,
პეიზაჟს ცისფერ ჩარჩოსავით ამკობს
ცის კიდე,
ვიქნები, ვიდრე ვიქნები და განმარტოებით
მდგარ ჩემს ქოხმახში უშენობას
გამოვიტირებ.
რა უცნაურად იწერება ეს დიდი წიგნი,
უფურცლო, უყდო, გაცრეცილი, ძველი
და მძიმე,
ერთი სიცოცხლე გვეძლევა და
ერთი სიკვდილი
და სიყვარული, თუ ნახე და ხელი ჩაჰკიდე...
მზის საგალობელს შემოსძახებს
ქერონა ჩიტი,
ვახელ თვალებს და ვხედავ, როგორ
მიდიხარ ჩემგან,
დღეებს ყოველთვის შენი სუნთქვის
მიხედვით ვთვლიდი,
ასე ვკინძავდი უსასრულო ფიქრის
კალენდარს.

ვლადიმერ ველიჯანაშვილი

საყვედური

რატომ დააკლდა ამ ფერებს ფერი,
რად არ ექცევით ფერებს ფერებით?!
მკითხე წარსულმა და სახით შენით
გამომეცხადე კვლავ გახსენებით.
რატომ დააკლდა მდინარეს თევზი,
რატომ დააკლდა ფრინველი ტყე- ველს,
რად დაუმოკლდა თვით ვაზის ფესვი
მინას, ამ მინას, ისედაც მტკაველს?!
რაღა უყავით ტყუპი დაძმანნი,
რატომ არ გიზით მხარზე ქედანი,
ციხედ დამდგარან მოხარკეთანი.
აგიჩეხიათ სისხლით ნაბანი
უთხოვარი თუ მისათხოვარი,
დაგიმარხიათ სადღაც პაპანი,
ვერ აწვდენს სხივებს თვითონ მთოვარიც,
ტანზე გატყვიათ როგორც იარა,
ნასოფლარი თუ ნაქალაქარი,
მიკვირს ო, დღემდე როგორ იარა
როგორ შემოგრჩათ, სად და რა ქარით?!
რა საჭიროა სიტყვა სალიქნო,
ოდეს თქვენ უფრო გიჭრით კანონი,
გიჯობთ უდროოდ თავი იქოთ,
გამხდარა ყანა სახორშაკნონი.
მთათა ფერდობი როგორ დახრილან ,
თუმც განდებით სად არ გავედით,
გაშიშვლებულან რიყედ დაყრილან
აქ, მდინარეთა შესართავეთი.
ბუნება ეს ხომ თვითონ ერია,
სიცოცხლის გზად რომ შემოგვნთებია,
მდინარეები მანამ მღერიან,
სანამდე ზღვას არ შეერთებიან,
და თუკი სიტყვას განგებ ვაწრთობდი
მსურს, რომ ხმამაღლა ამოდ გაგანდოთ,
მოვისწრაფი და მოვისწრაფოდი,
რათა მრავალგზის ამოგღაღადოთ...
მეთავთუხება,როცა ამდენი
მოგვმრავლებია მადლის მლოცველი,
დროა აიხსნათ საპირბადენი
და წარიხოცოთ წარსახოცელი.

საქართველოს ჯირდება

როცა სისხლი დარეკავს,
როცა აზრი დარეკავს,
ასრულდება მიზნები
აუხდენელ მითების,
ყველა ეჟრის ეარეწარს
ყველა შამბს და ნარეკალს
გადავთიბავთ, გადავხნავთ
გულზე გულის მიდებით.
არვინ მითხრას დაწყნარდი
ვერ ვიქნები გულმშვიდად
სანამ ვფხიზლობ, სამების
სანამ ზარი დარეკავს,
პაპის პაპის პაპებმა
ვით იცოდნენ უშიშრად,
არ დავუდგეთ დარაჯად
ჩვენი ქვეყნის გარეკარს.
ვერ დაუშვებ ვერასდროს,
ჩემი მიწა მცირდება,
არ დავიცვა, ვერ დავთმობ,
მამა-პაპის ბჭის კარი,
საქართველოს სჭირდება,
საქართველოს სჭირდება,
საქართველოს სჭირდება
ზე აღმასვლის ცისკარი.

ცხრა

ცხრა მთის გადაღმა გადავალ
და მეცხრე ცაზე შევდგები,
ცხრაჯერ თუ დამცეს, დამლეწოს
მაგრამ ცხრაჯერვე ვშენდები.
ცხრა კარს შეუმტვრევ ცხრა ციხეს
და ცხრაჯერ დავცემ ყიჟინას,
ცხრა წყაროს წყალსა შევასმევ
თავი ვინც გამოიჩინა.
ცხრა მარტს, ცხრა აპრილს დაცხრილულთ
ცხრაჯერ ავუნთებ კელაპტარს.
ცხრა ძეს დედის წინ დაცემულთ
ცხრა სიკვილიც კი ვერა ჰკლავს
ცხრა ძმისა ცხენზე შევჯდები,
არავის ავუხირდები,
ცხრა ბალიანი ზოვის ოთოვას
მე ცხრათვალა მზეს ვპირდები.
ცხრა კარს, ცხრა სიტყვას, ცხრა წყრთითაც
სუყველას ერთად ვენდობი.
ჩემი ცხრა წყაროს წყლითა და
ჩემი ცხრა ფერი ფერდობით.
ვერავის ვერ შემადრიდა
ვერვინ, ვერც ღვარძლით, ვერც შურით,
ცხრა გოჯი მიწის მადლით და
ცხრა ადლი მთების ნაჟურით,
ცხრა მთას, ცხრა ზღვას და ცხრა წყაროს
ცხრაჯერვე შევემზევდები,
ჩემი ცხრაპირი ტყავით და
ჩემი ცხრათვალა ვედრებით.
მეფეო თამარ
შემოიკრიბე ქართველნი ერთად,
დღეს კი დავდივართ ტრამალ ტრამალით
ამიტომ ხალხმა მიიღო ღმერთად,
მეფე თამარ!
გაგვინაწილე სიკეთე სრულად,
სიკეთით შენით ეახლე თავანს,
შენ ხარ,ოცნება ვინც აგვისრულა
მეფეო თამარ!
შენი დრო უხმოდ ყველა დროს ფარავს,
შენს დროს ცის ნამიც არ აკლდა მთა -ბარს
გვირწმუნე ჩვენი ნება და ძალა
მეფეო თამარ!
შენი გარჯითა და შენი ღვაწლით,
გზა გაუხსენი ოცნებას ფრთამალს,
გვითხარით, თქვენით იცხოვრეთ აწი,
მეფეო თამარ!
რომ ყოფილიყო მტკიცე საწყისი,
შენ მისხალ -მისხალ ძერწავდი თამალს,
გლოცავს ჯილაგი და გასაგისი
მეფეო თამარ!
შენ იმსახურებ სამარადმჟამოდ
სიყვარულს ჩვენსას, ყველაზე მთავარს,
შენს ნატერფალებს ვეხვევთ ამოდ

უცნობი წერილი „ვეფხისტყაოსანზე“

იოსებ ორბელი
აკადემიკოსი

უკვდავი წიგნი

რუსთაველის საზეიმო დღეებში ძვირფასი საჩუქარი მოამზადეს მოძმე სომხეთში – სომხურ ენაზე გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა.

პოემის თარგმანი ეკუთვნის აწ განსვენებულ პროფესორ გეორგ ასატურს. წიგნი დიდი მზრუნველობითა და სიყვარულით არის გამოცემული. მთავარი რედაქტორია აკადემიკოსი ს.ერემიანი. ილუსტრაციები ეკუთვნის ს.ქობულაძეს, მხატვრული გაფორმება – ლ.სადოიანს.

წიგნი იხსნება დიდი სომეხი პოეტის ავეტიკ ისააკიანის სიტყვებით: „შოთა ის მნათობი მზეა, რომლის ირგვლივ საუკუნეთა მანძილზე ტრიალებდა ქართველთა მთელი ცხოვრება. ის საქართველოს სულიერი ატმოსფერია, რომლითაც ასეულ წლებში სუნთქავდენენ ქართველები, შოთასაგან უსწავლიათ ერთგულება, სიყვარული, მამაცობა, რაინდობა; უსწავლიათ ენა, გემოვნება, ხელოვნება, სიბრძნე, პოეტურობა.

შოთა საქართველოს სულის ხუროთმოძღვარია“.

ამ ეპიგრაფს მოსდევს ქართველი მწერლობისა და ხელოვნების მცოდნის, დიდი მეცნიერის, აკადემიკოს იოსებ ორბელის ვრცელი სტატია, რომელიც პირველად ქვეყნდება.

ვბეჭდავთ რამდენიმე ნაწყვეტს აკადემიკოს ი. ორბელის წერილიდან:

„არ ვიცი – ნუთუ მოიძებნება რომელიმე მხატვრული, თუ გინდ ყველაზე მაღალი შემოქმედება, რომელსაც შვიდნახევარი საუკუნის მანძილზე ისეთი განსაკუთრებული პოპულარობისთვის მიეღწიოს, როგორიც რუსთაველის პოემამ მოიპოვა. მცირე ხნის შემდეგ ასეთივე ამბავი ხდება ირანში, სადაც ფირდოუსის სახელს ქება-დიდების დაფნის გვირგვინი შემოევლება. თუმცა მაინც იმოდენა ქება-დიდებისა არა, რამდენიც რუსთაველის სახელს საქართველოში. რუსთველი და ყოველივე ის, რაც ცოტა თუ ბევრად დაკავშირებულია მის პოემასთან, ეს იყოს თუ გინდ ორადორი სტრიქონი თუ პოემის ხელიხელ საგოგმანები სტრიქონებისაგან შემდგარი მთელი გვერდები, იმდენად შეუსისხლხორცებია ქართველ ხალხს ცხოვრებაში, ყოფაცხოვრებასა და შეხედულებებში, რომ ურუსთაველოდ თითქმის ვერ წარმოუდგენია თავისი ეროვნული ღირსებანი, მთელი თავისი სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობა.

პოემა დაწერილია მე-12 საუკუნის ბოლოს. რასაკვირველია, ის აღწერა თავადებისა და რაინდებისა – რომ ისინი უსაზღვროდ კეთილნი არიან, სულგრძელნი, ქველმოქმედნი, მუდამ დახმარებისთვის მზად მყოფნი – რუსთაველი რომ იძლევა, მთლიანად არ შეესაბამება სინამდვილეს, რუსთავლის რაინდები და ფეოდალები მატარებელნი არიან უაღესად მაღალი მორალური თვისებებისა, გამსჭვალულნი არიან უკეთილშობილესი გრძნობებით. მათი გამოჩენა საყოვეთაო აღფრთოვანებას იწვევს და ყველა – გლეხები, ქალაქის მცხოვრებნი – ხელოსნები, ვაჭრები – მიიჩქარის ამ ნამდვილი გმირების დასანახავად.

თავისი პერსონაჟების ამგვარი დახასიათება ეს თვითონ რუსთაველის თვისებაა, იგი ისე ხატავს მათ, როგორც უნდოდა ენახა ისინი სინამდვილეში, – ხატავს თავისი მორალის კარნახით, გარემო სინამდვილის, საქართველოს მცხოვრებთა და დაბალი ფენების მიმართ თავისი დამოკიდებულების თვალთახედვით. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რუსთველის პოემაში თავისებური უტოპიის შექმნასთან გვაქვს საქმე. ასეთსავე ამბავს ვხვდებით ალექსანდრე მაკედონელის შესახებ დაწერილ პოემაში, რომელიც ეკუთვნის რუსთაველის თანამედროვე ნიზამის. სხვათა შორის, პოემაში ნიზამი იხსენებს საქართველოში მოღვაწე ვიღაც დიდებულ პოეტსა და, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მხედველობში რუსთაველი ჰყავდა. ალექსანდრე მაკედონელი აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს იპყრობს რომელიღაც ქვეყნის სამეფოს, რომელიც მოწყვეტილია მზიური სამყაროსაგან. აქ ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც მეგობრულად არიან განწყობილნი ურთიერთისადმი. ისინი ერთმანეთს არ შეურაცხყოფენ, ყველაფერს თანაბრად იყოფენ – ჭირსაც და ლხინსაც. ეს ის ბედნიერი ქვეყანაა, რომლის მსგავსი არ არის დედამიწის ზურგზე ბედნიერი მხარე, სადაც არ არიან ბოროტი ადამიანები, ტირანები, მტაცებლები, ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულები. ნიზამის ნაწარმოებშიც, ეჭვს გარეშეა, ვხედავთ უტოპიური ქვეყნის სურათს, რომელიც ავტორს გადაუტანია ქვესკნელის სამეფოში, მზისაგან დაფარული წყვდიადის სამეფოში.

ივანე მეშჩანინოვი, აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია იოსებ ორბელი

... პოემიდან შეიძლება ამოღებული იქნას მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი აფორიზმი. კაცობრიობის ისტორიაში იყვნენ ისეთი მოღვაწენი, დიადი აზრების მოკლედ და სხარტად გამოთქმა რომ სჩვეოდათ. ლაპარაკია, ეგრეთწოდებულ მაქსიმებზე – ზნეობის ფორმულირების მოკლედ გამოთქმაზე. რუსთაველი უხვად არის მადლმოსილი ამ ნიჭით. წარსულ იუბილეს დღეებში ხელი მოჰკიდეს შოთა რუსთველის აფორიზმებისა და სხარტი გამონათქვამების შეგროვებასა და მთელი სიდიადით აღსდგა პოეტის დიადი კეთილშობილური სახე – ყოველივე ის, რაც დაუწერია ზნეობისა და გარემოს შესახებ ამ დიადი მისწრაფებებით შთაგონებულ შემოქმედს.

სხვათა შორის, როგორც ჩვენთვის, ისე ქართველი ხალხისათვის, რუსთვაველის შემოქმედების გასაგებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთ ტაეპს. ეს არის – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ რუსთაველის ამ აფორიზმთან დაკავშირებულია მთელი რიგი ლეგენდები, რომელნიც, უეჭველია, გარკვეულ ისტორიულ სიმართლეს შეიცავენ. ჩვენ ვიცით, რომ მე-17 საუკუნეში, როცა ერთ-ერთ ბრძოლაში ქართველთა მცირე ლაშქარს მტერმა ალყა შემოარტყა, მეთაურმა ამ აფორიზმით მიმართა ლაშქარს და მებრძოლები უვნებლად გამოვიდნენ რკალიდან – ქართველებმა, რუსთაველის ამ სიტყვებით გულმიცემულებმა, გაარღვიეს ალყა და მტერი დაჯაბნეს. ეს დამოწმებულია ქართულ მატიანეში და ლეგენდასავით შემონახულია ქართველ ხალხში.

რუსთაველის ფრთიან სიტყვებში არის ისეთი ბრძნული აზრები, რომლებიც ქვეყნიერების ავ-კარგის ათვისებისა და მისი მოწესრიგების ერთგვარ გასაღებს წარმოადგენენ, როცა იგი ლაპარაკობს – მზე სამყაროს ერთნაირად მოეფინებაო. ამით იგი არ განასხვავებს ვარდსა და მის გამანაყოფიერებელს, – ზედაფენასა და იმათაც, ვისაც მხრებზე აწვათ ფეოდალური წყობილების მთელი სიმძიმე.

რუსთაველის პოემის ლექსთწყობა საოცრად სრულფასოვანი და უზადოა. როცა პოემას ქართულად კითხულობთ, შინაარსის გამომსახველობითი სტროფები იმდენად საცნაურია, რომ უმალვე გიპყრობთ სურვილი, შეჩერდეთ და დაუკვირდეთ – სავსებით იცვლება ლექსი, იცვლება არა თუ ზომა, არამედ მოდის ქართულის სხვა ბგერითი თუ აღნაგობითი სიმდიდრე. რუსთაველი ზედმიწევნით დაუფლებულია ქართული ენის ყველა სამკაულს, განსაკუთრებით ალიტერაციულ გამოთქმებს.

ვინაიდან ქართულ პოეზიაში, აგრეთვე ამიერკავკასიის რომელიმე სხვა ხალხის პოეზიაში რუსთაველის ტოლი არაფერია, როცა ვადარებთ მის შემოქმედებას მის ცოტა თუ ბევრად თანამედროვე სხვა რომელიმე მწერალს, იძულებული ვხდებით გავცდეთ ამიერკავკასიის ხალხების შემოქმედების ფარგლებს და პირველ რიგში მივმართოთ სპარსელ პოეტებს, რომლებსაც რუსთაველი კარგად იცნობდა, კერძოდ, ხაკანსა და გურგანს.

ძალზე საცნაურია, რუსთაველისა და გურგანის სავსებით განსხვავებული დამოკიდებულება თავიანთი პერსონაჟებისადმი.

ეს განსხავება თვალში გვეცემა, როცა ვიხედებით უკან. მე-11 საუკუნის სპარსეთი მორალური დაცემის გზას ადგა, რაც უცხო იყო მე-12 საუკუნის საქართველოსათვის. ამ ორი პოეტის განსხავების ფესვებიც სწორედ აქ არის საძიებელი. ერთმა კარის პოეტმა მოგვცა თანამედროვეობის იდეალიზებული სურათი, მეორემ კი, გამოსული იყო რა ხალხის დაბალი ფენიდან, თავისებურად ასახა საზოგადოების ზედა ფენა, რასაკვირველია, არც თუ ვარდისფრად. სწორედ ასევე საცნაურია ამ ორი პოეტის მსოფლშეგრძნების სხვადასხვაობაც. რუსთაველის შემოქმედება უფრო მაღალფასოვანია, იგი ანარეკლია საქართველოს იმდროინდელ მოწინავე ადამიანთა მსოფლმხედველობისა და იმდროინდელი პირობებისა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რაც იყო დასავლეთში, ანდა რაც მალე მოიტანა იქ დროჟამმა.

... ერთი წუთით რომ განზე დავდგეთ ისტორიული სურათიდან, შეიძლება ვიფიქროთ, – დასავლეთის მენესტრელთა ზოგიერთი ნაწარმოები შექმნილია რუსთაველის პოემის სტრიქონთა თარგმანების გავლენით. ანდა, რაც უფრო სასიამოვნოა, ძველი მეცნიერებისათვის, იმ დროს, მე-12 საუკუნეში, ქართველმა პოეტებმა არ იცოდნენ ფრანგი ტრუბადურებისა და მენესტრელების ჯერ კიდევ დაუწერელ ნაწარმოებთა თარგმანები.

ქართული საზოგადოებრიობის მაღალი წრეების ცხოვრების ეს მხარეც განსაკუთრებული სისრულით ჩანს რუსთაველის პოემაში. ნაწარმოებში გარდა იდეალიზირების მომენტებისა, რაზედაც უკვე ითქვა, გამომჟღავნებულია ისეთი ხაზებიც, რომლებიც ნათელს ფენენ მე-12 საუკუნის ქართველი ქალების განათლებას, მათ კავშირს იმდროინდელი მეცნიერებისა და პოეზიის უმაღლეს მოღვაწეებთან. ეს ყოველივე აშკარად ჩანს პოემაში, განსაკუთრებით იქ, სადაც რუსთაველი აგვიწერს თინათინს, ავთანდილის სიყვარულის ობიექტს (საყვარელი არ შეიძლება ეწოდოს მას). თინათინი არაბეთის სწორუპოვარი პიროვნებაა თავისი წრისა, გარშემორტყმული რაინდებით და ფეოდალებით.

ეს საგანგებოდ საინტერესო მოვლენაა და როცა ამ თვალსაზრისით ვეცნობით პოემას, ვგრძნობთ, თუ რამდენად განსხვავდებოდა იმდროინდელი დასავლეთი მაშინდელი საქართველოსაგან. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ რუსთაველის შემოქმედება 150-200 წლით უსწრებს პროვანსიულ პოეზიას.

... რუსთავლის პოემა დაწერილია ქართულად, დაწერილია საქართველოს სულმნათი პოეტის ხელით, რომელსაც მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით განმსჭვალული საკუთარი უტოპიის ფონად აუღია შორეული ქვეყნები.

რუსთაველის პოემის სომხური თარგმანი საქართველოს ეროვნული საკუთრების – გენიალური პოემის მთელი... საკუთრებად აღიარების ერთ-ერთი მანიშნებელია. ამიტომ, დაე აქაც აღსრულდეს პოეტის სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

გაზეთი „კომუნისტი“ 1966 წელი, სექტემბერი, N212

ჯემალ შანიძე

***

ცა იქუფრება, შორს ელავს ჯანღი,
სულმა სევდები მყისვე მოდენა.
ყველგან გეძებე, აღარსად ჩანდი,
მზე იყო ცაზე, ვით ცეროდენა.

ჩემს სულში ახლა ეს ქარიც ატანს,
თავს არ მანებებს მაინც ვერაგი,
ოთახში ჩუმად წრიალებს კატა,
და ვგდივარ ტახტზე, როგორც პერანგი...

***

მე ალბათ შენთვის ყველაფერს შევძლებ,
თუ დროზე ადრე მოვიდა თოვლი...
რადგან ამ თოვლში შენს თვალებს ვეძებ,
ადრე დაკარგულს, შიშით და თრთოლვით.

იქამდე კიდევ უამინდობას
გადაგარჩინოს ჩემმა ლექსებმა.
შენთვის იმდენი რამე მინდოდა,
რომ გული ჩუმი სევდით მევსება.

გარეთ კი თითქოს ბნელდება უცებ,
და მოდის ღამე – მფარველი ყოვლის.
მე კი ლოდინით ყველაფერს ვუძლებ,
რომ კიდევ ერთხელ ვიხილო თოვლი..

***

სიჩუმის ლანდი მინელდა, დალბა,
ოთახში წყნარად გაისმის ბახი.
სოფლელი გოგო მიგონებს, ალბათ,
და თან მიდენის შინისკენ ნახირს.

ოთახში როგორ აგორდა სითბო,
გარეთ კი ისევ ქარია ნელი.
მე მარტოობას ისევ არ ვიტყობ,
და დამაქვს სევდა – ჯერაც უთქმელი.

მზე დაკიაფობს ვარდების კოკორს,
თითქოს და უყოფს სიცოცხლის ნაწილს,
და მე ვიგონებ იმ სოფლელ გოგოს,
რომელსაც, ალბათ, ვერ ვნახავ აწი...

***

მე გამოვედი ძველი სიზმრიდან,
გამოვაყოლე სული გოდებით,
და ახლა, მგონი, უფრო მიზიდავ
და კიდევ უფრო მიახლოვდები.

მე ვერ გიხილე, როცა მეწადა,
შენ არ მომეცი შანსი, ცბიერი,
რომ კიდევ ერთხელ გამომეცადა
ეს გრძნობა დიდი და ზეციერი.

***

არ გამიწყრები, ვიცი, ამაზე,
რომ დაგიწერო მცირე ბნკარები,
მე ვხედავ ახლა შენს სილამაზეს
და, ალბათ, რამდენს შენ ეყვარები.

მე ვხედავ, როგორ გიყვარს ზამთარი
და როგორ იხდენ ქუდსა და პალტოს,
შენი ღიმილით არის გამთბარი
მთელი თბილისი, და არა მარტო...
მე ვხედავ, როგორ ხვდები ამინდებს
(შენ გიყვარს ხოლმე წვიმით გართობა),
თუმც, ზოგჯერ ხდება, თავსაც არიდებ,
როს მოიწყენ და როცა მარტო ხარ.

მეც მიჭირს ხოლმე დეკემბრის სუსხი
და გავურბივარ დღეებს ქარიანს,
არასდროს ვიყავ მე ასე სუსტი,
ეს, ალბათ, ახლა ამ თვის ბრალია...

***

შენ ფანჯარასთან ზიხარ და ამჩნევ,
თუ როგორ იპყრობს საღამო ქუჩას,
კითხულობ წიგნებს და სხვა დანარჩენს
ინახავ, როგორც წერილებს უჯრა.
მიყვები ხოლმე ფიქრების მორევს
და სულაც არ ხარ დაღლილი ამით,
წვიმის ხმა როცა დღეს მიაგორებს,
ჩვეულებრივად აღიქვამ ამინდს...

და სიხარული გროვდება უცებ
ყოველთვის, როცა კითხულობ ახალს,
თუმც არ მოგწონდეს, შენ სამუდამოდ
ივიწყებ, თუმცა გულში ინახავ.
ყოველთვის, როცა შემოდის მთვარე,
ძლიერ დაღლილი და დაწრეტილი,
არ გინდა ხოლმე გაუშვა გარეთ,
და წიგნში მალავ, როგორც წერტილი...

გივი ნემსაძე

***

ათასში ერთხელ სიცოცხლეზეც
გიწევს გარისკვა,
დგება მომენტი, როცა შენს თავს
ებრძვი ბოლომდე.
ხვდები რომ მაინც მარტო ხარ და
ისეც არ გინდა,
რომ ვინმემ რამე გაიგოს და მერე
მოგროვდეს.
შენს სახლთან ახლოს ჭორიკნების რემა
თუ ფარა
გაიგებს ამბებს შენს წარსულზე
(გახრჩობს ყელამდე).
ხვდები რომ მართლაც უბედური,
უვიცი ყავხარ
უფალს, რომელმაც მიგატოვა დაბადებამდე.

კითხულობ ვიღაც თავმოკლული
პოეტის ნაწერს,
არ გინდა, მაგრამ უნებლიედ გამახსოვრდება.
ფიქრობ და ცდილობ სულში რაც გაქვს
ყველასთვის გასცე,
და ატყობ შენი საკუთარი სულიც გეცლება.

ხელიდან, რადგან გაუცრუებ მასაც იმედებს,
ითვლი თითებზე, მერამდენედ – თავი
იმართლა.
ხვდები რომ შენი აისები ვეღარ ითენებს
და ერთი ტყვიის გასასროლად
წმინდავ იარაღს.

იღებ სიგარეტს, უკიდებ და ეწევი ნაზად,
ჩუმად, სათუთად, ფიქრებისგან
გაშტერებული.
დგები მოწყვეტით, აიტაცებ რვეულს
და კალამს
და ხვდები უკვე სავსე არის ბოლო რვეულიც.

მიდიხარ სადაც საყვედურით არვინ
დაგხვდება,
ესაუბრები მარმარილოს ქვებს და სახეებს.
ხვდები რომ ახლა შენ მოგიწევს
სუნთქვის დადება,
ციფრზე რომელზეც ასიდანვე ასჯერ აგებენ.
ყველა, შენს გარდა

(შენ)

ვმღეროდი შენთვის,
ღიღინებდა ყველა,
შენს გარდა!
ვამბობოდი შენთვის
და იგებდა ყველა,
შენს გარდა.
გეძახდი შენ და
მაგონებდა ყველა
შენს გარდა.
მტკიოდა შენით,
მკურნალობდა ყველა
შენს გარდა.
ვტიროდი შენით
და ხვდებოდა ყველა,
შენს გარდა.
ვფიქრობდი შენზე,
ყველა გრძნობდა, ყველა
შენს გარდა.
მე ვწერდი შენთვის,
კითხულობდა ყველა,
შენს გარდა.
ვხატავდი შენთვის და
ტკბებოდა ყველა,
შენს გარდა.
ვაშენე შენთვის,
აღფრთოვანდა ყველა,
შენს გარდა.
გეხებოდი და ყველა გრძნობდა,
ყველა
შენს გარდა.
გიკითხე ლექსად და გაიგო
ყველამ,
შენს გარდა.
შემიყვარდი და ყველა მიხვდა,
ყველა
შენს გარდა.
და მაინც ასე ჩემებურად ვფიქრობ და
რაზე,
რომ ყველა დავთმე,
მივატოვე ყველა,
შენს
გარდა!!!

აპრილი

დილით ყულაბა გავხსენი და მთელი
ცხოვრება,
ძალზე ფაქიზად ამოვიღე, ასე გავედი
სახლიდან,
მსურდა ფიქრით გზები გადამეღობა
და სიხარულით გადამევსო შენი თვალები.

ყიდვა მინდოდა გაზაფხულის.....
(შემომთავაზეს).
ვიფიქრე:
ჩემით მოგართმევდი, სადმე შეგხვდები.
იასამანი მაინც უფრო ძვირად აფასებს,
აპრილს, რომელიც ყვავილდება
დაბადებებით.

ოდესმე

(ახლა არა, მაგრამ ოდესმე აუცილებლად
დაგიწერდი ამას)

გაბრაზდი, წახვედი.
(ჰაიდა).
გავარტყი რაც იყო წუხელის.
ეშმაკმაც დალახვროს,
არ მინდა,
არ მიღირს სევდად და –
წუხილიც
ხომ დროებითია?!
(აბა რა).
ამბობ და ივიწყებ არაფერს.
არცერთი გრძნობა არ გამქრალა,
რაც ახლა მიგყვება სახლამდე.
ოდესმე.
ვიხსენებ ოდესმე,
სიტყვებს და ნაწერებს ცრემლებით.
ძალიან რთულია გოდებდე
გულში და სახეზე ხელებით
ირგებდე ღიმილის „პარიკებს“,
(აქ გათენებებიც შორია).
ფარდებთან ჩაიხსნი საკინძეს
და წვები კვლავ დედი-შობილა
ლოგინში,
რომელიც სხვისია
და შმორის მძაფრდება სურნელი.
ჩურჩულებ,
ტირი
და
გგონია,
რომ ესმით შენი და
სულ ერთი
არ არის ამგვარი ძახილი,
ცრემლები ტკივილზე მეტია.
სიკვდილი გინდა და განიცდი,
სიცოცხლეს მორჩე და გკიდია
გრძნობები,
იქ სადაც ხალათი,
დაკიდე წუხელ და
თოვლია
ფანჯრებში იმდენად ხალასი,
რომ შენი სხეული
მგონია...
გაბრაზდი,
წახვედი.
(ჰაიდა).
გავარტყი რაც იყო წუხელის.
ეშმაკმაც დალახვროს.
არ მინდა,
არ მიღირს სევდა და
წუხილი.

სისინი

(გილოცავ 9 მარტს)

გილოცავ.
მივდივარ.
მშვიდობით.
მოსვლითაც მოლოცვით მოვედი.
ჩემს წვერზე თითებით ერთობი,
თან იმედს მიკარგავ ცხოვრების.

ამინდმაც განწყობა იპოვა,
წვიმს.

შენ ითვლი ჩვენი გზის გამყოფებს,
მიშვებ და თან ხუმრობ (ვითომდა),
თან საგზლად ღიმილებს მაყოლებ.
მადლობა.
ჰე, აბა შენ იცი,
სხვაც ბევრი მოკალი ჩვევებით.
სულ მალე ხედვას რომ შეიცვლი,
მოდი და შენსავით შეგხვდები.
მივდივარ,
მარტია.
ვფიქრდები.
გარემო დუმილით წითლდება.
წვიმებად ქცეული ფიფქები.....
ფიფქებად ქცეული წვიმები.....
ვღიღინებ,
ჩემთვის და უშენოდ.
ვიცინი.

ქალების ლოგიკა

მახსოვს და არ მოვალ უწვერო
ბიჭივით
ისეთი,
როგორიც შენ გინდა.

წავალ და ლექსებით დავთვრები,
მე არ მწამს ტყუილი ცხოვრება.
აღარ თქვა რაც დაგრჩა სათქმელი,
გაჩუმდი, გაჩუმდი...

მოგხვდება
სულზე სინანულის შოლტები,
ცრემლებიც გვიანი იქნება.
იმდენად მარტივად გშორდები,
რომ ბრძოლაც არ მიწევს ფიქრებთან.

ეს ის მომენტია, წასვლას რომ
არ ნანობს კაცი და, ქალი კი
ქალური პრინციპით ამაყობს
და ცრემლებს ტკივილით განიცდის.

პასუხი ჯარჯის

(ეძღვნება ჯარჯი შუქიაურს)

ჰო, რა თქმა უნდა ძმაო,
მტერი გვყავს თუმცა ბევრი.
ვენებში სისხლი ზვაობს,
ერთიანდება ერი.

დგება სისხამი ბრძოლის,
ალესილი გვაქვს ხმლები.
ჩვენ დავასრულოთ წლობის,
ჩაგვრა და გადაფრენილ
არწივის თვალთა ხედვით,
კავკასიური ზეცის
გამოფხიზლდება ჩვენის
მადლით მოწყალე ღმერთის.

„შვილებს ვასწავლოთ ბრძოლა“.
როგორც იტყოდი გულით.
და ვინაიდან გვმოძღვრავს
ღმერთი და სანთლის სუნი
გვიფანტავს ნისლს და ბურუსს,
ერთ მუშტად ვდგებით ერთად.

მიწას გუთნურს და ურმულს,
არ დავთმობთ თუნდაც ზეცა
დაგვამხოს მტერმა თავზე,
გული არასდროს მოსთქვამს,
გულს არ გაიტეხს ვაზი,
ქართველები ვართ!!! ჰოდა!

ვენებში სისხლი ზვაობს,
მტერი გვყავს მართლაც ბევრი.
და რა თქმა უნდა, ძმაო,
ერთიანდება ერი.

მოკითხვა საშიშ ქალბატონს

წერე და იკითხე რაც გინდა,
ზეცაზე ვერ შეცვლი აისებს.
ოთახი ბოლივით გავიდა
ფანჯრიდან
და ფილტვებს ამივსებს
„CAMEL“–ი.
ბრენდული შეფუთვით,
ნაფასი სიცოცხლედ მიჯდება.
პერანგი ნაყიდი მეუღლის,
ვიხუმრე, ვიხუმრე!!!
ფიქრებმა
წამიღო,
ვიცინი.
რა ვუყო, უცოლო კაცი ვარ.
არ მცივა, ნუ მოხვალ სხივივით,
მეუღლის პერანგი მაცვია.

არ მჯერა პლანეტურ ძალების,
შენსავით ჯიუტიც არა ვარ.
მკიდია ვარსკვლავი რამდენიც,
დათვალე წუხელ
და ამაღამ
მოიცვლი ურწყულის ხალათი,
ეგ ხასიათიც ხომ შენია
და მკერდზე ჩაისვი თამამი
თითები,
რომლებიც მელიან.

„2 Pac“–ი იმარჯვებს ამ ომში,
„Bad Guy“–ს ხედვები გამართლდა.
„Опасные Блондинка“ აღმოვჩნდი,
არა!!!
„Козырная Дама“ ხარ.
თამაში კარგად არ გცოდნია,
მთავარი ფიქრია თამაშში.
„VaLeT“–ი ეძებო ჯობია,
გახსოვდეს..!
„JokeR“–თან დამარცხდი..!

წუნდის ტბა. ფოტო ლაშა გაბელიასი

გმირი ცხრიელი

ტარიელს ორი ბიძაშვილი ჰყავდა, ფრიდონი და ავთანდილი, რომელნიც ძალიან უყვარდა და ამიტომ ერთათაც ცხოვრობდნენ. ესენი მეტად სახელგანთქმული იყვნენ ყოჩაღობაში. ასე რომ, მათ ცალი არ ჰყავდათ. სადაც კი გაერეოდნენ, სისხლის ღვარს ააყენებდნენ და ყველას თავს ზარს სცემდნენ. ამათში ტარიელი უფრო მკლავმაგარი იყო, ფრიდონი – უჭკვიანესი, ხოლო, ავთანდილი ჯამბაზიც იყო.

ტარიელი დაინიშნა ერთ ხელმწიფის ქალზე – ნესტან-დარეჯანზე, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმშვენიერით მთელს დედამიწის ზურგზედ. მისმა სილამაზემ და მშვენიერებამ ქაჯეთის ხელმწიფემდეც მიაღწია, რომელმაც მოინდომა მისი მოტაცება. მაგრამ ამას სრულად ვერ მოახერხებდა, როცა ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ ერთად იქნებოდნენ, რომელნიც თავითი ძალ-გმირობით ქვეყნიერებას თავზე ზარსა სცემდნენ.

ასე იქნა, რომ ერთათ ვეღარ დადგნენ სახლში, მობეზრდათ ერთათ ყოფნა, თუ რაღაცა, გაიყარნენ. ხოლოთ ერთი ცხენი, რომელიც ქაჯეთიდან ჰყავდათ მოყვანილი, ვერ გაიყვეს და ამიტომ აიშალ-დაიშალნენ და გადიკიდნენ მტრათ.

უფრო ფრიდონი ცდილობდა თავისთვინ, როგორმე გაეტარებინა ხელში ის სანაქებო ცხენი, რომელიც ჰაერივით ფრენას მიჩვეული იყო და რავდენიმე დღის გზას ერთ დღეს გაივლიდა, მაგრამ ტარიელი ამის წინააღმდეგი იყო.

ერთხელ ტარიელი და ავთანდილი, რომელთაც კიდევ ეს თვისება ჰქონდათ, წავიდნენ შორს სანადიროთ და ნესტან-დარეჯანი კი დედის ამარა სახში დატიეს. ფრიდონმა გაიგო ეს და შეატყობინა ქაჯეთის ხელმწიფეს: – თუ წაიყვან ნესტან-დარეჯანს ახლა, რადგანაც დროა, ის შორსაა, ავთანდილთან ერთად წასულია, თორემ შემდეგ სულაც ვერ წაიყვანო. ქაჯეთის ხელმწიფემ იმწამსვე გაგზავნა ქაჯები და მოსტაცეს დედამთილს ნესტან-დარეჯანი და ჰაერათ წაიტაცეს.

როდესაც ტარიელი მოვიდა და იკითხა ნესტან-დარეჯანი, დედამ უთხრა:

ჩანენი მოვიდნენ პირშავნ,
თმა გრძელი ტანადობანი,
ათას ფერათ შეკაზმულნი,
ვარდნი ეკრიფათ იანი;
გაიტყუეს დარეჯანი,
გაატარეს მაღლა მთანი.

ტარიელი საშინლათ დაღონდა და მწარე ფიქრი დაიწყო. ეს ფრიდონის მოხერხებულია, თორემ ქაჯები ვერ გაბედავდნენ აქ მოსვლას და გატაცებასო. ადგა, – წავიდა საძებნელათ და თან ავთანდილიც წაიყვანა. ნახა ჭალაში, წყაროს პირას, ერთი კაცი დადიოდა, ამ კაცსაც ცოლი დაჰკარგოდა და საძებნელათ ვარ წამოსულიო. იფიქრა, ამით ნუგეშს მივცემ ნესტან-დარეჯანის დამკარგავის პატრონს, რომელიც უზომოთ სწუხსო.

ტარიელ დაჰკრა მათრახი,
დააწყებინა თახთახი,
შენ თუ ცოლსა და შვილს გლოვობ
რა ყველსა და პურს ხარხანი!
დაარტყა და გააფრთხობინა საწყალს სული.

გაუდგა გზაზედ და დადის, მაგრამ ტარიელმა ვერაფრით ვერ მიაგნო ნესტან-დარეჯანს. დაბრუნდა შინ და ფიქრობს... ბევრი ფიქრის შემდეგ ამჯობინა ფრიდონის შერიგება და მისწერა:

ერთხელ ქაჯეთს მეც ვყოფილვარ,
თქვენც რომ ნახოთ გეზარნებათ,
ოთხივ კუთხივ სალი კლდეა,
მგზავრი ვერსად გადიოდა.

ფრიდონმა რა დახედა, შერიგება უნდაო, მოღალატობამ ვერ გააბედვინა და უარი შეუთვალა. შემდეგ მოციქულათ გაუგზავნა ავთანდილი: – მოდი, ძმაო, ფრიდონო! შევრიგდეთ, როგორც მანამდე ვყოფილვართ ძმურად და ერთგულათ, ისე ვიყოთ, მოვძებნოთ ნესტან-დარეჯანი. ერთათ რო ვიქნებით, უთუოთ ვიპოვნით, თუ შემისრულებ ამ თხოვნას და მოხვალ, არას გაწყენ და იმ ცხენსაც შენ დაგილოცავ, ოღონდ კი ვიპოვნოთ ნესტან-დარეჯანიო!

ფრიდონს თუმცა ეზარებოდა და ერიდებოდა შერიგება, რადგანაც მოღალატე იყო ტარიელისა, მაგრამ ამჯობინა, უსიამოვნება რომ მეტი აღარ გაბევრებულიყო, შერიგებოდა. ადგა და გაჰყვა, თუმცა პირველ მოციქულზე, არა, მაგრამ მეორეთ რომ მოუვიდა ავთანდილი, მაშინღა მოვიდა შესარიგებლად. ტარიელს ძალიან გაუხარდა ფრიდონის შერიგება და მაშინათვე გადაჰკოცნა და ცხენიც მისცა აფშარით ხელში, ღმერთმა მოგახმაროსო. შემდეგ სამნივ დასხდნენ მოსალაპარაკებლათ, თუ რა გზით ენახათ დარეჯანი, ან რა გზაზე იქნა წაყვანილი, რომ მიაგნონ!

აქედან გადიოდა სამი გზა. მოილაპარაკეს ფრიდონის აზრით, ყველა თვითო გზას დასდგომოდა და რომელიც მიაგნებდა გზას, რომლითაც წაყვანილი იყო ნესტან-დარეჯანი, ის ასულიყო მაღალ მთაზე, რომელიც იმ გზების შუა იყო ამართული და სამივე გზას კარგად დაჰყურებდა, დაენთო ძლიერი ცეცხლი. ამით ენიშნებია, რომ შეგროვილიყვნენ იქ ყველანი და იმ გზით წასულიყვნენ. ავიდნენ მთის წვერზე, დაფათრეს ბევრი შეშა და გაუდგნენ თავთავის გზას.

ბევრი სიარულის შემდეგ ფრიდონი ერთ ჭალას მიადგა. მივიდა, შეისვენა წყაროს პირას. ისადილა და მიეძინა კიდეც. ის ადგილი ფათმა ხანუმის ადგილი იყო. ფათმა ქვრივი იყო, რომელსაც დიდი სიმდიდრე და ქონება ჰქონდა, ფათმა ხანუმას გოგოს (მოსამსახურეს) დაენახა მძინარე ფრიდონი, როდესაც წყლის მოსატანათ წასულიყო; ძალიან მოსწონებოდა ეს ვაშკაცი და გაიქცა სახარობლად ფათმა ხანუმსა:

მებაღე მოდის, ხარობდა,
კოჭამდე ოფლი ჩადინა,
ახარა ფათმა ხანუმსა,
ეს ჩემგან დაიქადინა,
ერთი ჭაბუკი გვხლებია,
მზისა და მთვარის დარია.

ფათმა ხანუმი წამოხტა, მაშინათვე და გაიქცა ჭაბუკის სანახავათ. რომ მივიდა და ნახა მძინარე, მოეწონა მისი სილამაზე, დაბრუნდა შინ და გაუგზავნა კარავი მოსამსახურეების ხელით, რათა დაეჩრდილათ, მზეს არ დაეწვა. როდესაც გამოიღვიძებდა, დაუბარა, ეთქვათ ფათმა ხანუმ გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთანაო. გაისტუმრა მოსამსახურეები და თვითონ კი სასტუმრო მიღების თადარიგს შეუდგა.

ფრიდონმა გამოიღვიძა, თავზე კარავი დაინახა და აქა-იქ ქალები, გაუკვირდა. ჰკითხა მათ ამბავი ვინაობისა, ხოლო იმათაც მიუგეს ყოველიფერი, თანაც სთხოვეს ფათმა ხანუმთან წამოსულიყო სახლში. ფრიდონ ადგა და წავიდა. რა დაინახა ფათმა ხანუმმა, ვინაობა ჰკითხა. ფრიდონმაც ყოველიფერი უამბო, რომ ისინი სამნი ძმანი (ბიძაშვილები), სამნივ გმირნი სახელგანთქმულნი იყვნენ. ამათი სახელი ფათმა ხანუმსაც გაეგო დიდი ხნისგან. ჩვენ მზეთუნახავი დედოფალი, სახელათ ნესტან-დარეჯანი დავკარგეთ, არ ვიცით, რომელ გზითაა წაყვანილი. სწორეთ იმის საძებნელათ ვართ ჩვენ წამოსულიო. ფათმა ხანუმმა მოახსენა: – ამ ათი-თუთხმეტი დღის წინეთ ქაჯებმა აქეთ გაატარეს ერთი ქალი, უთუოდ ის იქნებოდა. მე რომ მცოდნოდა, დავატიებდიო. იმის პოვნა ადვილია, მაგრამ მე ერთ რასმეს გთხოვ, თუ აღმისრულებ, გაპოვნინებო.

– რაო, ჰკითხა ფრიდონმა.

– რაა და ცოლად შემირთე, მომწონხარო, რადგან მშვენიერი ვაშკაცი ხარო. ფრიდონმა უპასუხა: – დედოფლის პოვნამდი დათ მიმაჩნიხარ, შემდეგ კი, რა მოგახსენოვო. სთქვა ეს თუ არა, ადგა ფრიდონი, სიხარულით გაიქცა და მთაზე ცეცხლი აანთო. ცეცხლი მალე დაინახეს ტარიელმა და ავთანდილმა. ჩქარა შეგროვდნენ აქა. სამნივ წაიყვანა ფრიდონმა ფათმა ხანუმთან, სადაც კვალს მოაკვლია.

ფათმა ხანუმს მახარებელი შეუვიდა:

– „სამი ჭაბუკი მოსულა,
მზისა და მთვარის დარია“.

შევიდნენ ეს გმირები ფათმა ხანუმთან და მიესალმნენ. ფრიდონმა გააცნო ისინი. ფრიდონმა უთხრა ფათმას, როგორ და რამდენ ხანს შეგვიძლიან ვიპოვნოთ დედოფალი ნესტანიო.

– მე ქაჯები მყავს და იმათ იციანო. დაუძახა ერთი ქაჯი, რომელმაც უთხრა:

– სამ დღეს შეიძლება მისვლა-მოსვლაო იქ, სადაც ნესტან-დარეჯანია ქაჯეთის ხელმწიფესთანაო. იბევრეს გმირებმა სამი დღე. მეორე ქაჯი დაუძახეს, იმან ოცდაოთხი საათი ვადა მისცა.

– ჰო, ეგ გვინდა გასაგზანათაო, – თქვეს გმირებმა.
ტარიელმა საჩქაროთ დაწერა წერილი:
„ამა წიგნის წერაზედა, ცხარე ოფლი მდენიაო,
ნუ გამიშვებ, გენაცვალე, სიყვარული ძნელიაო.
სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარევსა,
თუ შეგიტყვეს, გლოვნაც გვინდა,
როგორც მკვდარსა, საყვარელსა“.
და გაგზავნეს.

ნესტან-დარეჯანი რა მიიყვანეს ქაჯებმა ხელმწიფესთან, თავი მოიმუნჯა, ხმას არ იღებდა. ექიმები მისეული ჰყავდათ ქაჯებს, რათა გაეგოთ მიზეზი; ისინიც ამტკიცებდნენ, გულზე სიცხე მეტი აქვს და იმიტომ ვერ ლაპარაკობსო.

ერთი დედაკაცი წინააღმდეგი იყო ექიმების აზრზე და ეუბნებოდა ნამდვილს. ამაზეც დიდ საჩუქარსაც სთხოვდა, უფრო მაშინ, როდესაც ხმის ამოღებინებას ჰპირდებოდა, ამბობდა:

„დილას ადრე მოიყვანეს,
ეს ლამაზი ქალი მწყრალი,
არცა სვა და არცა ჭამა,
არცა ვისმე გასცა ხმანი,
ან ხომ არაა ხელმოსული,
შორი გზიდან მოსული,
ან ხომ არაა ანგელოზი,
ზეციდანა ჩამოსული,
ან ხომ არაა თეთრი მტრედი,
ინდოეთიდან მოსული,
ამას ჰყავს სადმე მიჯნური, მასზედ
აქვს გული გაბასრული“.

ამასობაში ის წერილი ფანჯრიდან შემოუგდეს და თან შესძახეს:

„მე ვარ მონა ფათმანისა,
გზა საშუროთ წამოსული,

თუ ვტყუოდე, გამამტყუვნოს
ამ წერილმა კარს მოსული.

დარეჯანმა რა წაიკითხა, გამხიარულდა და ხმაც ამოიღო:

„რა ღირს ხარ შენ ქაჯთ-ხელმწიფევ,
შენ ჩემსა დედოფლობასა,
თუ შეიტყო ტარიელმა,
მოგიშლის ქორწილობასა“.

მერე ტარიელს საშუროთ მისწერა:

„ტარიელ, დაგმე გულითა,
ქვისაგან უმაგრესითა,
შენ კვდარსა გნახავ, დავიწვი,
ვითა აბედი კვესითა;
შენ ისინი ნუ გგონია, როგორც
მებრძოლთა წესითა.
ათას ხუთასი ხევსურნი, ერთ
თოკზე შემოდგებიან,
შიგ შემომსვლელსა მომიკლენ,
ცეცხლივით მოედებიან,
ნუც მომკლავ მე უნახავსა,
ამაზე უმაღლესითა.
მისწერა ეგრეთვე, თუ რა
ცუდი გზები იყო.“

ქაჯმა რა მიუტანა პასუხი, ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ საჩქაროთ ადგნენ და წავიდნენ. რა მივიდნენ ნაჩვენებს ადგილს, შუაზე გასასვლელი ზღვა დახვდათ, ადაზე (კუნძულზედ) კი ციხე იყო ქაჯებისა, სადაც ხელმწიფის დარბაზიც მოთავსებულიყო და შიგ ნესტან-დარეჯანი ბრძანდებოდა. ციხეს გალავანი მაღალი ჰქონდა. მისი კარები ისე სწრაფათ იღებ-იხურებოდა, რომ ქაჯი თუ მოასწრობდა შესვლა-გამოსვლას, რომ კარს არ მიესწრო მიჭეჭყა, თორემ სხვას არ შეეძლო, თუ იმისთანავე ქაჯსავით სწრაფი არ იქნებოდა.

რა დაინახა ფრიდონმა ციხის კარების ამ სისწრაფე გაღება-მიხურვა, დაუძახა:

„არ მოგცემ ცხენსა ამას,
ამ ცხენსა მათეულსაო,
ასე შევა ქაჯეთ ქალაქს, ვერ
მოასწრებენ ფარსაო“.

ავთანდილმა უთხრა ტარიელს:

– შენ თოკს ორფუთიანი ქვა მოაბი წვერზე და გადისროლე ადაზე. თოკის ხიდი გაიმართება და ზედ გავალ მე, ფრიდონ ცხენიანი შეიცურვებს და შენ კი აქ იყავი; ჩვენ მოვიტაცებთ, გამოვიყვანთ ნესტანს და შენ აქ დაგვხვდიო.

ტარიელს არ მოეწონა ეს აზრი, ქაჯები თოკს გაგიჭრიანო.

ამასობაში ურიებმა გამოიარეს, რომელნიც ვაჭრობდნენ ქაჯებში და ამათ ლაპარაკს ყური მოჰკრეს და თქვეს: „რაც ამათა ქნეს, ქვეყანამა ცნეს“. ამათ ნათქვამსაც ტარიელმა ყური მოჰკრა და ყველას ენები ამოგლიჯა და


ნახატები ზურაბ ხაბაძისა

დაამუნჯა. არსად გაგვთქვან და საქმე არ შეგვიშალონო. გახადეს ტანსაცმელი ამ ურია-ვაჭრებს, ჩაიცვეს თვითონ, იმათი სავაჭრო საქონელიც გამოართვეს, დაჯდენ ყაიღში[1] და ვაჭრულებ შეიპარნენ და გავიდნენ ადასა. როგორც იყო კარებშიც შევიდნენ და დასხდნენ ვაჭრულებ, გაშალეს საქონელი (ფარჩა), ვითომ სავაჭროთა. მოაწყდა ხალხი სანახავათ, თან ერთიმეორეში ჩურჩული შეიქნეს, იქნება იაფად მოგვცენო.

„რას ჩურჩულებთ, რას ყურყურებთ,
ყური თქვენკენ დაგვიგდია,
სულ ამ ხმალ ქვეშ გაგაჩერებთ,
რჯული ჩვენი დაგვიგდია“.

იძრეს ხმლები და სულ ხმალ ქვეშ გაატარეს ყველა ქაჯები. ტარიელ სასახლისაკენ გაიქცა, შევარდა ოთახში და დაუძახა ხელმწიფეს:

– აქა თავს უშველეო, თორემ ტარიელ მოდისო. თვითონ კი რა დაინახა ნესტან-დარეჯან, სიხარულისაგან უგრძნობელი ძირს დაეცა. მაშინ ეცა ხელმწიფე ყელში და ახრჩობდა, სული რო შეუგუბდა სიმწრისაგან, გონს მალე მოვიდა, გააქანა ხელი, მოარტყა ყბაში ხელმწიფეს და სიზარფით[2] ფანჯარაში გააგდო:

„ტარიელმა კაცი სტყორცნა,
მიწა ყანათ გაიყარა,
არცა მისთვის სამარეა,
არცა ნიჩაბი ბარია“.

ეცა ნესტანს ტარიელი და გამოიყვანა კარში. იქ ფრიდონი და ავთანდილიც შეხვდნენ, რომელთაც მთელი ქაჯები გაეწყვიტათ. ადგნენ და გავიდნენ გალავნიდგან კარში; ჩაჯდნენ ყაიაღში და მშვიდობით გავიდნენ გაღმა ნაპირას. მალე შენიშნეს დარეჯანი ორსული იყო და მუცლის წახთენა მოუნდომეს, რადგან ეშინოდათ: ქაჯი არ დაებადებინა. მაღლა ხმით მილაპარაკობდნენ:

– სისხლი სამივეს დაგვიღვრია და სამივეს გვერგებაო დარეჯანიო. – აბა, გავჭრათო, – დაიძახეს და ერთმა მათგანმა იძრო ხმალი და მოუქნია შესაშინებლათა ჰაერში. ამის დანახვაზე დარეჯანს გული გაუსქდა კინაღამ ისე შეშინდა, ამით გააგდო კიდეც ქაჯი. ასე ოსტატურათ წაუხდინეს მუცელი. შემდეგ შეატყობიეს და მეეფერნენ, შეშინებულს ეუბნებოდნენ, რომ განგებ ქნეს, მუცლის წასახდენად, რათა ქაჯი არ დაგებადაო. მივიდნენ ფათმა ხანუმთანაც, შეცვივდნენ სიხარულით მადლობის გადასახდელად და გამართეს ლხინი.

ფრიდონმაც თავისი სიტყვა აღარ ჩაყლაპა და შეირთო ცოლათ ფათმა ხანუმი. ასე გამარჯვებულნი წავიდნენ ყველანი სიხარულით თავის სახლებისკენ, სადაც ცხოვრობდნენ ერთგულათ და ბედნიერათ.

ჩაწერილია მესხი კ. გვარამაძისა მიერ სოფ. ხიზაბავრაში, ბესანადეთ სოლომონის თქმით, ხელნაწერი ინახება საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში H №1997-ის ქვეშ, „მესხეთის“ რვეულში

[1] ყაიღი - ნავი

[2] სიზარფით - დიდი ძალით, ძლიერად, ძალუმად, ღონივრად

ქაჯეთის ციხე

1916 წელს მე ჩვენებურებთან ერთად მოვდიოდი ქ.არდაგანიდან ახალქალაქისაკენ: გზაზე, რაბათთან ახლოს (მდ. მტკვრისა და ზურზუნას შესართავთან), შემოგვეყარა ერთი თათარი, სახელად იბრაჰიმი სოფელ ქამარბელიდან (ხოზაფინის ტბის ახლოს). როდესაც ზევიდან გადმოვხედეთ რაბათს, გზის მარცხნივ, მტკვრის პირზე დავინახეთ ერთი ძველი შენობა, რომელიც შორიდან ძნელი გასარჩევი იყო, ეკლესია იყო თუ ციხე-სიმაგრე. მაშინ მე მივუბრუნდი ჩვენს თანამგზავრს იბრაჰიმს და ვკითხე: ეს რა ძველი შენობა არის-თქვა. ჩემს კითხვაზე იბრაჰიმმა მიპასუხა: ეს ძველი ციხეაო. ამან მე უფრო დამაინტერესა და სახელიც გამოვკითხე „შეითან ყალა ქვიაო“, – მითხრა თანამგზავრმა. როცა ციხეს გაუპირისპირდი, მე თვალწინ წარმომიდგა „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სურათი ქაჯეთის ციხისა. იბრაჰიმმა ისიც მითხრა, რომ ციხეს ერთი შესასვლელი ბილიკი აქვს მარტოვო და შიგ სამი ბურჯი აქვსო (სამი კლიტული, სამი ერთმანეთზე შემოვლებული ციხე, სამ კარიანი).

მე ძალიან დავინტერესდი და კარგად გავსინჯე, თუ როგორი იყო ამ ციხის ადგილმდებარეობა. მართლაც, ამ ციხეს ეშმაკი თუ მიუდგება, აშენებულია კლდეზე. იქით-აქეთ წყალი ჩაუდის (დასავლეთით მტკვარი და აღმ.-სამხრეთით – ზურზუნის წყალი), ირგვლივ კლდეები შეჰყურებს, ციხე თავისი შესახედაობით მოზრდილი არის.

როცა შევეკითხე, თუ რატომ ქვია „შეითან ყალა“ (ანუ ქაჯეთის ციხე), მან მითხრა, რომ ასე გვაქვს გადმოცემა და შინაარსი არ ვიციო. მე მას ვუამბე შოთა რუსთაველის პოემის შინაარსი, სადაც აღწერილია ქაჯეთის ციხის აღება. ის კაცი მაშინვე დამეთანხმა, ეს მხარე ძველად საქართველოს ეკუთვნოდა და შეიძლება შოთა რუსთაველსაც ეს აქვს აღწერილიო.

მთქმელი დათო კარაპეტოვი, 48 წლისა, ახალქალაქის რაიონი სოფ. კოთელია. ჩაიწერა მიხეილ ჩიქოვანმა 1958 წელს

ლოგინია „ვეფხისტყაოსანზე“

ბნელში ეულად ლიცლიცებდა თაფლის სანთელი, ვიწრო სარკმლიდან მთვარის შუქი ლამობდა შეჭრას.

პიტალო კლდეებს ღამის ბინდი ებრძოდა ისევ და არ უშვებდა ვარძიისკენ აგრაგნილ ღრუბლებს.

მომცრო სენაკში ლოცვა მიწყდა, სანთელი ჩაქრა. მოძღვართ-მოძღვარი ხატთან შედგა, მუხლზე დაეცა. მერმე პირჯვარი გარდისახა, დაემხო პირქვე და საქართველო შეავედრა წმინდა მარიამს.

ისმოდა მხოლოდ შორეული მტკვარის შხუილი და „ბერის ხევში“ ლოცულობდა ბერი ჯიუტად.

– „ღმერთო მაღალო, შემიწყალე შენი მორჩილი, რაც რამ მებადა ქვეყანაზე შენ შემოგწირე. მე ცოდვილი ვარ ცოდვილთა შორის, ვითარც აჩრდილი დავალ ასე განაწამები, სად დამეკარგე, სად წახვედი, რწმენაო ჩემო!“

მისი ტუჩები ბუტბუტებდა მომცრო სენაკში და ქვის სარეცელს დაჰყურებდა მოჯადოებით. მასზე ეყარა წიგნების გროვა, გაყვითლებული პერგამენტები. ოქროთი ნაჭედს ზოგიერთ მათგანს გასცრეცოდა ფართო ფურცლები. და ვითარც ციხის ვეება ლოდებს, ვერას აკლებდა ქარი და წვიმა, ისე მოჩანდა ჟამთა ცვლაში გაცვეთილი ლურჯი ნაწერი. მწერალს და ოსტატს, თავის საქმის მოსიყვარულეს, გულდაგულ, კოხტად გადეწერა „ქართლის ცხოვრება“.

მოძღვართ-მოძღვარი დაჰყურებდა გაცრეცილ ეტრატს და მის ხსოვნაში იღვიძებდა ჭაბუკის სული. ამ ეტრატების კითხვაში ხშირად დასთენებია ღამე თეთრად ბერულ სენაკში. თვით უწერია ქართველ ხალხის გრძელი ცხოვრება, თვალით უნახავს ბრწყინვალება დიდებულების, მაგრამ დღეს, როცა გაუთეთრდა ლოცვაში თმები, ყიჟინა ესმის: ბევრჯერ ნაოხარ საქართველოს კვლავ შემოაწვა მტერთა ურდონი... ამ ბერულ სენაკს მოადგებიან ალბათ მალე ცეცხლით და რისხვით. აუღიათო თმოგვის ციხე წყეულ ურჯულოთ, გარს არტყიანო თამარ მეფის დიდებულ ქალაქს.

მოძღვართ-მოძღვარი აჩქარებს ბერებს. ჰფუთავს და ჰფუთავს საღმთო წიგნებს, ფრთხილად ალაგებს მუხის ყუთებში და მერე გააქვთ საიდუმლო სამალავებში.

და როს სიბნელე მიილია ბერულ სენაკში, ერუშეთის მთებს მთვარემ ისევ შემოანათა, ბერებმა ფრთხილად გაიტანეს მუხის ყუთები და საიდუმლოდ მიაბარეს მიწას საუნჯე.

მოძღვართ-მოძღვარმა კვლავ პირჯვარი გარდაისახა, უკანასკნელად წაიხემსა საოსტიგნოში. შემდეგ ჩამოხსნა ლუსკუმს ჯვარი კრძალვით და რიდით და ფრთხილად მარტომ სენაკს გარეთ გამოასვენა.

მერმე კვლავ შედგა, წყლიან თვალით გახედა სენაკს, სადაც ეყარა სატრფიალო წიგნების გროვა. იფიქრა, იბჭო, ღირდა მათთვის თავის გაწირვა... თუ დაეტოვა საალაფოდ მოსულ მტრისათვის... ერთი მათგანი დიდხანს, ჩუმად ეჭირა ხელში, ვერ გაიმეტა უპატრონოდ „მესხის ნაწერი“. ხელის ცახცახით გულს პირჯვარი გარდაისახა, უბეში ფრთხილად ჩაიფუთა „სულის წამწყენედი“ და ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას.

როცა თურქებმა დაარბიეს წმინდა ალაგნი, ჯორ-აქლემებზე გადაჰკიდეს ოქრო და ვერცხლი, ნადავლთა შორის იყო ბევრი საღმრთო წიგნები... ხმლებით ნაკაფი წმინდა ბერები ეყარნენ იქვე ჩანაცრებულ კოცონთა შორის. იქვე სულს ლევდა მოძღვართ-მოძღვარიც. სისხლიან მკერდზე მიეხუტა მას „მესხის წიგნი“ და ღმერთს გვემული შეჰყურებდა ღია თვალებით.

ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

„მეფეთა შიგან სიყხვე, ვით ელმან ალვა, რგულია;
ყხვსა მორჩილობს ყოველი; იგიცა, ვინ ორგულია.“

შოთა რუსთაველი

გაზეთი იბეჭდება ასპინძის მერიის (მერი როსტომ მაგრაქველიძე) დაფინანსებით

შოთაობა. 1971 წელი. 17 ოქტომბერი. ჯანსუღ ჩარკვიანი, დავით ზედგინიძე, ნოდარ დუმბაძე, ვახტანგ ტაბატაძე. ფოტო მოგვაწოდა თამაზ ზედგინიძემ

შოთაობა. 1988 წელი. ფოტო მოგვაწოდა მიხეილ მაისურაძემ

ვარძიის წყარო



ვარძიის წყარო

როგორ შეეწყე გულცივსა და პიტალო კლდეებს ასეთი წმინდა, მოკამკამე მთის ცივი წყარო. როგორღა ითმენ სათქმელს გულში წლობით დამარხულს.

წლები გამძიმებს, მძიმე წლები წელში გამწყვეტი. ბევრი გინახავს ავიც და კარგიც. თვით ბრძენთა-ბრძენი დიდ თამარის სიტურფეც გახსოვს და ახლა, როცა მინაბული თვალებს გაახელ, შენს სილურჯეში გამოკრთება მისი აჩრდილი...

რა მუხთალია ბედისწერა ამქვეყნიური! რა არ გადაგხდა ტურფასა და გულით უმანკოს! ერთნი წმინდანად გაცხადებდნენ, წვეთწვეთად გყიდდნენ და მორწმუნეებს აჯერებდნენ შენს სასწაულებს, მეორენი კი... ეჰ, რა არის ბედის ტრიალი, ამგვარად უნდა მოჰქცეოდნენ განა შენს სახელს? მაგრამ ვაგლახად დატრიალდა ბედის ბორბალი, საქართველოს ცას ბნელი ნისლი გადაებურა, წმინდა ადგილნი წაიბილწა ველურთა ხელით და შენც შეგღება სამშობლოსთვის დაღვრილმა სისხლმა...

სამასი წელი თავზე ჩადრი ჩამოიბურე და არ გინდოდა შეგეხედა მზის სხივებისთვის. შემდეგ კი ისევ კვლავ დაჰქროლა საამო სიომ და სამუდამოდ მოგაცილა მწუხრის ზეწარი...

სილამაზეში ეჯიბრები დღეს წმინდა ფრესკებს – გულით გიხარის წარმატება ქართველი ხალხის. ამ ბნელ გვირაბებს აკაშკაშებს მომავლის შუქი, აღარ ხარ ბნელი მისაკვლევი და მისაწვდომი.

ვარძიის წყაროვ, თამარ მეფის ათინათინო, პიტალო კლდეში ჩაკარგულო მგოსნის ოცნებავ, ჩემი მესხეთის ბედდამწვარო მესაიდუმლევ... დღეს მხრებგაშლილი ეგებები გულითად სტუმრებს და გრძნობ ვერასდროს ვერ აამღვრევს შენს წმინდა ტალღებს ველურთა ხელით.

დურმიშხან ბერიძე

თქმულებები

შოთა რუსთაველი

შოთა საქართველოსთვის იბრძოდა და ყველა ბრძოლაში ის იმარჯვებდა. შოთას ისეთი ცხენი ჰყავდა, რომ ისიც იბრძოდა შოთასთან ერთად. როდესაც თურქები შემოესივნენ სოფელ ასპინძას, ეს რომ შეიტყვო შოთამ, აქაც გამოსწია თავისი ჯარით ერთად და აქაც გაიმარჯვა. მხოლოდ შოთას დაუჭრეს თავისი საყვარელი ლურჯა. გაბრაზებული, გაცეცხლებული შოთა მარტოდ დარჩა თავის ლურჯასთან. ისე მძიმედ იყო დაჭრილი ლურჯა, ფეხზეც ვერ დგებოდა, იმის ნაირი ცხენი ჯერ არავის არ ჰყოლია. მისმა ცხენმა იცოდა ფრუტუნი. როდესაც მტერი საქართველოზე იერიშს მიიტანდა, შოთა და მისი ლურჯა მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ, იმავე წუთს ამოჟლეტავდნენ მტერს. ახლა კი დაიღუპა საწყალი ლურჯა.

სათათრეთში ერთ კაცს ჰყავდა კაი ცხენი, რომელიც ლურჯას ჰგავდა. შოთა წავიდა იმ კაცთან, ვისაც ყავდა ცხენი. მივიდა და მოახსენა, მომყიდეო და რაც კი ოქრო მაქვს, სულ შენი იყოსო. ვაჭარმა უთხრა, – წადი, შენი ოქრო მოიტანეო და მერე წაიყვანე ცხენიო. შოთა დათანხმდა. შოთას ეს ოქროები ერთ გამოქვაბულში უნდა მიეტანა. შოთა ფიქრობდა, ამ ოქროს როგორ დავიბრუნებო? მართლაც შოთა მოექცა ასე ვაჭარს: ჯერ ცხენი გამოიყვანა, მერე კი, როგორც იცოდა, მოარტყა ცხენს და გამოფრინდა. ვაჭარი გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. შოთამ სცადა ისევ გამოქვაბულში დაეტოვებინა ოქრო. კლდეში გამოიცვალა ტანსაცმელი, ჩაიცვა ძველები და ერთი ნაბადი, ვითომ მეცხვარე ვარო, აიღო გუდა, შიგ ჩადო ერთი ნატეხი პური და გამოუდგა გზას. ეს ოქრო ისევ გამოქვაბულში შედო. შოთა თავისი ცხენით ცაშიც კი დაფრინავდა. ყველას უყვარდა შოთა – დიდსაც და პატარა ქალსაც და კაცსაც.

მთქმელი მარგო თედორაძე, 55 წლის, ასპინძის რაიონი სოფ. თოკი. ჩაიწერა ვ.კოჭლავაშვილმა 1965 წელს. თსუ ფ. არქ. N 4005

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com